



Kingdom of the Netherlands



NATIONAL
PROBATION
AGENCY



კვლევა თემაზე:

**„ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების
წარმოება არასრულწლოვანი პირების
მიმართ სასჯელის დანიშვნისას“**

Research Topic:

**“Preparation of Individual Assessment Reports
on Juveniles at Pre-Sentencing Stage”**

„ცხის სერთაშორისო რეფორმა“

“Penal Reform International”

2017

კვლევა თემაზე:

**„ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების წარმოება
არასრულწლოვანი პირების მიმართ
სასჯელის დანიშვნისას“**

ავტორები: ნატალია ცაგარელი
მარიკა ნათაძე
ანტონ ქელბაქიანი

წინამდებარე კვლევა განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაცია
„ცინის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ, პრობაციის ეროვნულ
სააგენტოსთან თანამშრომლობით და საქართველოში
ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით

თბილისი
2017 წ.

წინამდებარე გამოცემა შეიძლება თავისუფლად იქნეს განხილული, აბსტრაქტებად გამოყენებული, გამრავლებული და ნათარგმნი, ნაწილობრივ ან მთლიანად, მაგრამ არა-კომერციული მიზნებისთვის. აღნიშნული პუბლიკაციის ტექსტში ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს საერთაშორისო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“.

გამოცემა მომზადდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წინასასამართლო ანგარიშის ინსტიტუტის გაძლიერება და საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა“ პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და ის არც ერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციის გამოხატველად.

„ციხის საერთაშორისო რეფორმა“

სათაო ოფისი

არდლის ქუჩა №1
ლონდონი N1 4HS
გაერთიანებული სამეფო
ტელეფონი: +44 (0) 207 923 0946
ელფოსტა: info@penalreform.org
Twitter: [@PenalReformInt](https://twitter.com/PenalReformInt)
www.penalreform.org

„ციხის საერთაშორისო რეფორმა“

სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი

აღ. ყაზბეგის გამზირი, N25,
მე-3 სადარბაზო, მე-2 სართული,
ბინა 262, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: (+995 32) 237 02 70
tchanturia@penalreform.org

© ციხის საერთაშორისო რეფორმა, 2017

სარჩმვი

კვლევის შესახებ.....	5
კვლევის მიზანი.....	6
კვლევის მეთოდოლოგია.....	6

I ნაწილი

ნაწილი 1.1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადები	8
ნაწილი 1.2 ფსიქოლოგიის ჩართულობა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.....	9
ნაწილი 1.3 პერსონალური მონაცემების დაცვა.....	10
ნაწილი 1.4 უწყებათაშორისი კომუნიკაცია.....	13
ნაწილი 1.5 ხარისხის კონტროლი.....	15
ნაწილი 1.6 ბავშვის უფლება იყოს ინფორმირებული	19
ნაწილი 1.7 პროფესიული ეთიკის საკითხები	21
ნაწილი 1.8 სერვისების დეფიციტი.....	21
ნაწილი 1.9 რეკომენდაციები.....	22

II ნაწილი

2. დასრულებული საქმეების ანალიზი	25
--	----

III ნაწილი

3.1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოებისას ინსტრუმენტისა და შეფასების პროცესის ანალიზი.....	29
ნაწილი 3.2 ინსტრუმენტის ზოგადი სტრუქტურა.....	34
ნაწილი 3.3 ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმები.....	36
ნაწილი 3.4 ინსტრუმენტის ძლიერი მხარეები.....	36
ნაწილი 3.5 ინსტრუმენტის სუსტი მხარეები.....	36
ნაწილი 3.6 ხარვეზები ინსტრუმენტის საკითხების მიხედვით	37
ნაწილი 3.7 დასკვნა	39
ნაწილი 3.8 ზოგიერთი საკითხი განსახილველად.....	40
ნაწილი 3.9 რეკომენდაციები.....	41

კვლევის შესახებ

2016 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული დოკუმენტი პრინციპების დონეზე სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა ის ქმნის მხოლოდ ზოგად ჩარჩოს, რომელიც შემდგომ დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და განისაზღვროს კანონქვემდებარე აქტებით, პროცედურებით, სახელმძღვანელო პრინციპებით. კოდექსში ასევე აღნიშნული იყო, რომ იმ ნორმების ნაწილი, რომელიც შეეხებოდა სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოებას, ძალაში შევიდოდა 2016 წლის 1 მარტს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2016 წლის 1 იანვრიდან, ნაწილობრივ 1 მარტიდან), სხვადასხვა უწყებებს დაეკისრათ ვალდებულება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, ჩამოეყალიბებინათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი დეტალური პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლებიც, მათ შორის, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოებისთვის იყო საჭირო. „პეკინური წესები“ განმარტავს: „ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შეიქმნას მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი და შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები და ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით“¹. გარდა ამისა, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ - ... „განხილული პრინციპებისა და უფლებების სრულად დაცვის მიზნით, საჭიროა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტური ორგანიზება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემის შექმნა“².

ვიწრო გაგებით, კანონმდებლობის რეფორმა გულისხმობს მხოლოდ არსებული კანონის შეცვლას ან ახალი კანონის მიღებას. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული პროცესი გაცილებით მრავალმხრივია და სცდება სამართლებრივი ჩარჩოს უბრალო გადასინჯვას და მასში ცვლილებების შეტანას. საკანონმდებლო რეფორმა მოიცავს: ა) პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებას; ბ) ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ინსტიტუციათა შორის კომუნიკაციის სისტემის შეფასებას; გ) პროფესიულ გადამზადებასა და პროფესიულ პრაქტიკას; დ) კანონის იმპლემენტაციის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას; ე) გარდამავალ ეტაპზე გასატარებელ ღონისძიებებს³ ვ) იმპლემენტაციის პროცესში მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სისტემას.

მართალია არაერთხელ შეფასდა ახალი კოდექსის მნიშვნელობა და პროგრესულობა, თუმცა არ განხორციელებულა დეტალური ანალიზი რამდენ-

¹ *პეკინური წესები, წესი 30.3.*

² *გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.90.*

³ *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011 წ. გვ.12.*

ნად არის უზრუნველყოფილი მისი ერთგვაროვნად განმარტება მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ცალკეული უწყებების მიერ, განსაკუთრებით სასჯელის დანიშვნისას, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოების პროცესში. არ მომხდარა კოდექსის გააზრება პრაქტიკაზე დაკვირვების საფუძველზე და ხარისხის კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნის თვალსაზრისით. აღნიშნული ხარვეზი შეიცავს რისკს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა (პრაქტიკული იმპლემენტაციის ეტაპი) წარიმართება არასწორი მიმართულებით და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს შორის ჩამოყალიბდება არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, განახორციელონ, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოების პროცესის ხარისხის შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და გაანალიზება. ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ როგორც სამთავრობო სტრუქტურების, აგრეთვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ყველა სხვა სუბიექტის მიერ მოხდეს კანონმდებლობის და პრაქტიკის ერთგვაროვანი გაგება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოყენებული იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები:

- **სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი** - აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, მოხდა კვლევისათვის საჭირო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა მთავარი პროკურატურიდან, საერთო სასამართლოებიდან, და სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან. მიღებული ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელი გახდა ანალიზის გაკეთება 2016 წლის განმავლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოებისას (სასჯელის დანიშვნისას) არსებული სპეციფიური მიდგომებისა და არსებული დინამიკის შესახებ;
- **არსებული სიტუაციის (კანონმდებლობის და პრაქტიკის) ანალიზი** - გულისხმობს, მართლმსაჯულების სფეროში არსებული კანონმდებლობის (ნორმატიული აქტების) ანალიზს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საჭიროებების ჭრილში, აგრეთვე არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და შეფასებას;

- **ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების ანალიზი** - პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან წინასაწარი შეთანხმების საფუძველზე, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფ იმ არასრულწლოვანთა საქმეები, რომლებზეც 2016 წლის განმავლობაში მომზადდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელის დანიშვნისას. სულ შესწავლილ იქნა 100 საქმე;
- **ფოკუს ჯგუფები** - ფოკუს ჯგუფები არის მეთოდი, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს საკვლევ საკითხზე ინფორმაციის მიღებას. მეორე მხრივ, ფოკუსირებული დისკუსიისას იქმნება ერთგვარი მიკრო სოციალური ჯგუფის მოდელი, რესპონდენტთა ერთობლივი მსჯელობა ხელს უწყობს საკვლევ თემაზე დისკუსიას, ჯგუფური გავლენის ხარისხის იდენტიფიცირებას და საკვლევ საკითხის შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებას. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 6 ფოკუს ჯგუფი თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის პრობაციის ბიუროს სარეაბილიტაციო სამმართველოს სოციალურ მუშაკებთან (სულ 23 სოციალურ მუშაკთან). ასევე გაიმართა 1 ფოკუს-ჯგუფი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან.
- **ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი (ნახევრად-სტრუქტურირებული)** - გულისხმობს რესპონდენტების მხრიდან ინფორმაციის მიღებას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მათი დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან.

კვლევა შედგება სამი ნაწილისაგან:

კვლევის პირველ ნაწილში - ასახულია სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესის ანალიზი, როგორც სამართლებრივი ხარვეზების, ასევე პრაქტიკის ანალიზის კუთხით.

კვლევის მეორე ნაწილში - დეტალურად არის წარმოდგენილი დასრულებული საქმეების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები, როგორც კანონმდებლობის, ასევე პრაქტიკის კუთხით.

კვლევის მესამე ნაწილში - შეფასებულ იქნა სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ფორმა (ინსტრუმენტი) და შეფასების პროცედურა.

კვლევის ავტორები - ნატალია ცაგარელი, მარიამ ნათაძე, ანტონ ქელბაქიანი.

I ნაწილი

ნაწილი 1.1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადები

გარკვეულ პრობლემებს საკანონმდებლო დონეზე ქმნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების კონკრეტული ვადის არარსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ცალკეულ მოსამართლეებს აქვთ განსხვავებული პრაქტიკა, რაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის. სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით, ვინაიდან დოკუმენტი საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, მისი მომზადება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს. მართალია სოციალურ მუშაკებს აქვთ ინდივიდუალური ანგარიშების მომზადების გამოცდილება (არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების, განრიდების შემთხვევებში), თუმცა სასჯელის მომზადების ეტაპზე არსებული შეფასების ინსტრუმენტები (კითხვარი) მცირედ განსხვავებულია, აგრეთვე საჭიროებს სასამართლოსთან, პენიტენციურ სისტემასთან, პროკურატურასთან მჭიდრო კომუნიკაციას, რაც შესაძლოა პრაქტიკაში სოციალური მუშაკებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდეს.

ანგარიშის მომზადების ვადის საკითხს უკავშირდება პრობაციის სააგენტოს ადამიანური რესურსების საკითხიც. პრობაციის სააგენტოში ამჟამად დასაქმებულია 35 სოციალური მუშაკი. თითოეულ მათგანს თვეში დაახლოებით 40 საქმე აქვს წარმოებაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და შესაძლოა საბოლოო ჯამში სოციალური მუშაკების საქმიანობის ხარისხზეც აისახოს. სოციალური მუშაკების მცირე რაოდენობისა და მათი მრავალმხრივი ფუნქციების გამო, თითოეულ სოციალურ მუშაკს მრავალი ტიპის ანგარიშის მომზადება უხდება (განრიდება-მედიაციის პროცესში; არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესში, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისას). ფაქტურად ერთ საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა მათ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისთვის რამდენიმე განსხვავებული ფორმატის ანგარიშის მომზადება მოუწიოთ. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ მათ ასევე უწევთ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისების მიწოდებაც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა და არსებული რესურსის, მოპოვებული ინფორმაციის ოპტიმალურად გამოყენება.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ მუშაკებს ანგარიშის მოსამზადებლად საკმარისი ვადა მიეცეთ, რათა აღნიშნულმა დოკუმენტმა არ მიიღოს მხოლოდ ფორმალური ხასიათი და, საბოლოო ჯამში, უპასუხოს იმ მიზანს რისთვისაც შეიქმნა. ასევე აუცილებელია მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეებს (პროკურატურას, სასამართლოს) მიეცეთ უფრო კონკრეტული რეკომენდაციები და განმარტებები, რათა ანგარიში მათთვის რეალურად სასარგებლო და ინფორმაციული იყოს. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც სისტემატურად და სისტემურად ამუშავებენ ბავშვთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებთანაც ბავშვს აქვს შეხება (საგანმანათ-

ლებლო დაწესებულებები, სოციალური სააგენტოები, ა.შ), საქართველოში ამ ტიპის სისტემატიზებული საინფორმაცია ბაზა არ არსებობს და სოციალურ მუშაკს ნებისმიერი მონაცემების მოპოვება და დამუშავება თავიდან უხდება. პრაქტიკოსი სპეციალისტების განმარტებით, სასჯელის შეფარდების ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სრულყოფილად მომზადებისთვის საჭიროა სულ მცირე 10 სამუშაო დღის გამოყოფა. მართალია ამ ტიპის სიტყვიერი შეთანხმება მოსამართლეებთან და პროკურატურასთან არსებობს, თუმცა მაინც არის შემთხვევები, როდესაც ანგარიშის მომზადებას მოსამართლეები და პროკურორები ითხოვენ სასამართლო სხდომამდე 2-3 დღით ადრე ან არ უთითებენ კონკრეტულ ვადას და შემოიფარგლებიან ისეთი ტერმინებით როგორცაა „უმოკლეს ვადაში“. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სამართლებრივი პროცესის რეგულირება მოხდეს ნორმატიულად, რაც იძლევა პრობლემის სისტემური გადაწყვეტილების შესაძლებლობას და არ არის დამოკიდებული ცალკეული პირების ზეპირ (შესასრულებლად არასავალდებულო) შეთანხმებაზე.

იმისთვის, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენამ არ მიიღოს ფორმალური ხასიათი და მასში ასახული იყოს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ობიექტური ინფორმაცია, რეალური გავლენა მოახდინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაზე და ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებას, მნიშვნელოვანია ანგარიშის მომზადებისთვის კონკრეტული ვადის ნორმატიულად განსაზღვრა, რაც ყველა მხარეს მისცემს უფრო მშვიდად და კომპეტენტურად მუშაობის შესაძლებლობას. ამჟამად პრაქტიკაში მაინც ხშირია შემთხვევები, როდესაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები ბოლომდე ვერ ახდენენ კითხვარში მითითებული წყაროების სრულად ამოწურვას და დროის სიმცირის გამო შემოიფარგლებიან მხოლოდ ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერვიუებით. მაქსიმალურად ობიექტური დასკვნის მისაღებად კი მნიშვნელოვანია გასაუბრება, როგორც ოჯახთან და თავად არასრულწლოვანთან, ასევე მის გარემოცვასთან, მეზობლებთან, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც სწავლობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. აგრეთვე განსაკუთრებული ობიექტური გარემოებების შემთხვევაში სოციალურ მუშაკს უნდა შეეძლოს მიმართოს მოსამართლეს შეფასებისას დამატებითი დროის მოთხოვნით, თუ არასრულწლოვნის ავადმყოფობის, ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სხვა განსაკუთრებული გარემოების (მაგ: დაუძლეველი ძალა) გამო შეუძლებელი გახდა მისი დროული შეფასება. დამატებითი დრო უნდა განისაზღვროს გო-ნივრული ვადით, რაც იმას ნიშნავს, რომ ვადის გამოთხოვა არ უნდა ხელყოფდეს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს.

ნაწილი 1.2 ფსიქოლოგის ჩართულობა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკები ხშირ შემთხვევაში საჭიროებენ ფსიქოლოგის კონსულტაციასა და ჩართულობას ინდი-

ვიდუალური შეფასების ანგარიშის განხორციელების პროცესში. არსებული კანონმდებლობით, ფსიქოლოგი შეფასების პროცესში ჩართული არ არის, თუმცა სხვადასხვა ეტაპზე სოციალური მუშაკები მიმართავენ დახმარების აღმოჩენისთვის ბიუროში დასაქმებულ ფსიქოლოგებს. ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგების შეფასების პროცესში მონაწილეობა შეზღუდულია, უკავშირდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ფსიქოლოგების არასაკმარის რაოდენობას, რაც ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ხარისხს.

მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით არასრულწლოვნის მიერ სქესობრივი დანაშაულის სავარაუდო ჩადენის, აგრეთვე განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში, აუცილებელია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მზადების პროცესში (ინტერვიუს ეტაპზე) ფსიქოლოგის ჩართვა. ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს, იმ სოციალური მუშაკების კონსულტირებაში რომლებსაც უწევთ მსგავს შემთხვევებზე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან მუშაობა. ფსიქოლოგის ჩართულობის საჭიროება არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხის შეფასების დროსაც. მართალია სასამართლოს აქვს ექსპერტიზის დანიშვნის უფლება, თუმცა პრობაციის სააგენტოს სპეციალისტების მიერ შესაძლებელი უნდა იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების პირველადი იდენტიფიცირება და ექსპერტიზისა თუ სხვა სპეციალისტის (სააგენტოს ფსიქოლოგის) დამატებითი მონაწილეობის მოთხოვნა. რაც ერთის მხრივ, ამ საკითხის ირგვლივ სოციალური მუშაკების ინფორმირების/გადამზადების საჭიროებას წარმოშობს და მეორეს მხრივ, პროცესში ფსიქოლოგების მონაწილეობის აუცილებლობას ასახავს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული რესურსით ეს ფაქტობრივად შეუძლებელია, სოციალური მუშაკები თავადაც აღნიშნავენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში (მაგ: დასახელდა ინცესტის შემთხვევა) აქვთ გარკვეული სირთულეები და შინაგანი ბარიერი ბრალდებულთან კომუნიკაციის პროცესში, რაც ცალსახად ცხადყოფს, რომ არსებობს ფსიქოლოგისგან შესაბამისი კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღების საჭიროება.

ინდივიდუალური შეფასების პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის შემთხვევაში, საჭირო გახდება დამატებითი სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა, რომლის საფუძველზეც ნათლად იქნება გაწერილი მისი ფუნქციები, შეფასების პროცესში მონაწილეობის შემთხვევები და აქტივობის სახეები (კონსულტირება, შეფასება და სხვა), დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევები და მათი მოქმედების არეალი.

ნაწილი 1.3 პერსონალური მონაცემების დაცვა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება მართლმსაჯულების სფეროში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (მ.40, პ2 (VII)) განმარტავს, რომ „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულა მის

დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას“ ... „ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ: ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვევა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:“ ... „მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე“. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა N10 ზოგად კომენტარში (3.64) დაადგინა, რომ „საქმის განხილვის ყველა სტადია“ იწყება სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან ზედამხედველობიდან ან პატიმრობიდან გათავისუფლებამდე. ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი განმარტავს, რომ - „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას“.

პირადი ცხოვრების პატივისცემის მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. უარყოფითმა საჯაროობამ შეიძლება მოახდინოს ბავშვის სტიგმატიზაცია, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის შესაძლებლობაზე, მიიღოს განათლება, მოიძიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. კონფიდენციალური პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება არასასურველ გავლენას ახდენს ზოგადად ბავშვის რეინტეგრაციაზე.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“) (წესი 21.1.) განმარტავს, რომ „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დოსიე უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული უნდა იყოს მესამე მხარეებისთვის. ასლების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომელთაც პირდაპირ ეხებათ საქმეზე გადაწყვეტილება ან სათანადოდ უფლებამოსილი პირებით“.

გარდა ამისა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2008)11 „ევროპული წესების შესახებ სანქციებს და ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის“, ასევე განმარტავს, რომ (პ. 34.2) „დოსიეში არსებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ამის კანონიერი უფლება აქვთ და მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც აუცილებელია ინფორმაციის გამომთხოვი ორგანოს წინაშე არსებული დავალების შესრულებისათვის“, ... „საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის ვადის გასვლის შემდეგ დოსიე უნდა განადგურდეს ან გადაეცეს არქივს, სადაც მოქმედებს წესები მათი შინაარსის მესამე პირებისათვის არ გაცემის გარანტიების შესახებ“.

ამჟამად არსებული პრაქტიკით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები სასამართლოსა და პროკურატურას უგზავნიან შევსებული კითხვარის სრულ ვერსიას, რომელსაც ავსებენ სხვადასხვა წყაროებთან ვი-

ბიტის შედეგად და არა მხოლოდ კითხვარის ანალიზის საფუძველზე მომზადებულ შესაბამის დასკვნას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრაქტიკა არ არის სრულ შესაბამისობაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიზნებთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. კერძოდ, ადგილობრივ კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ - „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით ... მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი“¹.

შესაბამის უწყებებს უნდა მიეწოდოთ მხოლოდ მათი ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია (ამ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, დასკვნის სახით), ხოლო ის დეტალები რაც გამოკვლეულ იქნა და საფუძვლად დაედო დასკვნის მომზადებას მოიცავს ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციული (ბევრად მეტ) ინფორმაციას, და ანგარიშის მიზნიდან და სოციალური მუშაკის პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დარჩეს მასსა და გამოკითხულ პირს შორის. აქვე აღსანიშნავია, რომ რადგან თავად საუბრის შინაარსი არის კონფიდენციალური და აღნიშნული შეხვედრა ხორციელდება პირისპირ, მათ შორის დაცვის მხარის დაუსწრებლად, საუბრის სრული დოკუმენტაციის პროკურატურის, ადვოკატისა და სასამართლოსთვის მიწოდება ეწინააღმდეგება კონფიდენციალურობის პრინციპს. ფოკუს ჯგუფების დროს სოციალური მუშაკების ნაწილის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ უმჯობესია მოსამართლე გაეცნოს მთლიან ანგარიშს, რადგან შესაძლოა დასკვნით ნაწილში სოციალურ მუშაკებს გამოირჩეთ მნიშვნელოვანი დეტალი, ან ვერ მოახერხონ ყველა ღირებული ინფორმაციის გადმოტანა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ანგარიშზე პასუხისმგებელ ორგანოდ განისაზღვრა პრობაციის სამსახური, იგულისხმება, რომ პრობაციის სოციალური მუშაკები აღჭურვილნი არიან შესაბამისი უნარებით დასკვნით ნაწილში თავი მოუყარონ ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, რაც რელევანტურია სასჯელის განსაზღვრის მიზნისთვის. უნდა არსებობდეს ერთგვარი პრეზუმცია, რომ დასკვნაში მოცემული ინფორმაცია არის სანდო, ობიექტური, მრავალმხრივ წყაროზე დაფუძნებული და პროფესიონალური, რისი რევიზია და გადამოწმებაც აღარ წარმოადგენს მოსამართლისა და ადვოკატის ფუნქციას.

მნიშვნელოვანია გამოკითხული წყაროების კონფიდენციალურობის საკითხის გადაწყვეტაც. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ დანაშაულებზე სხვადასხვა წყაროები (მაგ: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მეგობრები) ითხოვენ კონფიდენციალურობის დაცვას, მათი სახელისა და გვარის გაუმჟღავნებლობას. მეორეს მხრივ, ანგარიშის ობიექტურობისთვის მნიშვნელოვანია წყაროების მითითება, რასაც ითვალისწინებს კიდევ კითხვარი. ვფიქრობთ, მოცემულ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს უნდა მიეცეს შესაძ-

¹ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მ.4 ბ,გ

ლებლობა გააკეთოს ზოგადი მითითება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისა და ინფორმაციის მიმწოდებლის კავშირის შესახებ. სოციალურ მუშაკს, თავისი შეხედულებისამებრ უნდა შეეძლოს არ დაასახელოს ინფორმაციის წყაროს სახელი და გვარი; ჩვენი აზრით, ეს ნაკლებად იქნება მოსამართლეთა მხრიდან ანგარიშის ობიექტურობის სადაოდ გახდის მიზეზი, უფრო მეტიც, მიგვანჩნია, რომ რიგ შემთხვევებში წყაროს ანონიმურობის დაცვა სწორედ უფრო ობიექტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას შექმნის. მსგავს შემთხვევებში, სასამართლო ნდობას უცხადებს სოციალურ მუშაკს, როგორც სახელმწიფო უწყების წარმომადგენელს, მის პროფესიონალიზმს და ყველა წყაროს მითითება ან მითითებლობა ვერ გახდება ანგარიშის ობიექტურობის ან არაობიექტურობის საზომი.

ნაწილი 1.4 უწყებათაშორისი კომუნიკაცია

არსებობს ცალკეული სირთულეები უწყებებს შორის კომუნიკაციის კუთხითაც, კერძოდ ანგარიშის მოთხოვნის დოკუმენტში სასამართლო (მოსამართლის თანაშემწეები) ხშირად არ უთითებს შესაბამის მუხლს კანონმდებლობიდან, რომლის საფუძველზეც ითხოვს ინფორმაციის გადაცემას, რაც პრობაციის ოფიცრებს/სოციალურ მუშაკებს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნით, რიგ შემთხვევებში, არ არის დაზუსტებული დამატებითი კომუნიკაციის საჭიროებისას სასამართლოდან შესაბამისი საკონტაქტო პირის ვინაობაც (ცნობილია, რომ მოსამართლესთან უშუალო კომუნიკაცია მის განსახილველ საკითხთან მიმართებაში რეკომენდებული არ არის.). მსგავსი სირთულეები იწვევს ანგარიშის მოსამზადებლად არსებული ისედაც მცირე დროის არარაციონალურად გამოყენებას. შეფასების პროცესში გამოიკვეთა ასევე, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოს მომართვისას არ არის არასრულწლოვნის, მისი ოჯახის ან ადვოკატის კოორდინატები, ცალკეულ შემთხვევებში კი ინფორმაცია არაზუსტია.

ფოკუს ჯგუფების შედეგად ცხადი გახდა, რომ უმჯობესია შემუშავებული იქნას სოციალური მუშაკებისათვის მიმართვის ერთიანი ფორმა, ცალ-ცალკე როგორც პროკურორების, ასევე მოსამართლეების მხრიდან. არის შემთხვევები, როდესაც სოციალური მუშაკები მიმართვის საფუძველზე ვერ იღებენ ინფორმაციას დანაშაულის მოკლე ფაბულაზე, არ განემარტებათ წარმოების რა ეტაპზეა კონკრეტული საქმე. სამართლებრივი დეტალების არასაკმარისი განმარტება, ხშირად სოციალური მუშაკების მხრიდან იწვევს სამართლებრივი საკითხების არასწორ ინტერპრეტაციას და დამატებით შფოთვას.

არსებობს გარკვეული სირთულეები სოციალური მუშაკების მხრიდან ადვოკატებთან ურთიერთობის კუთხითაც. პირველ რიგში, ალსანიშნავია, რომ დაცვის მხარის წარმომადგენლების დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული იმის შესახებ თუ რას უნდა მოიცავდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. მათი აზრით, ანგარიში არ აერთიანებს ინფორმაციას მნიშვნელოვანი წყაროებიდან, მხოლოდ ბრალდებულთან და მის ოჯახთან გასაუბრება კი, რასაც მათი განცხადებით უმეტეს შემთხვევებში აქვს ადგილი, არ იძლევა ობიექტურ სურათს ოპტიმალური სასჯელის ზომის განსაზღვრისთვის. მნიშ-

ვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგარიშების ნაწილი მართლაც ვერ სცდება მითითებულ წყაროებს (ზემოთ აღნიშნული დროის სიმცირის გამო), თუმცა ადვოკატების სიფრთხილე აღნიშნული დასკვნების მიმართ იმითაც არის განპირობებული, რომ გარკვეულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლოა მათი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ყველაზე მსუბუქი სასჯელის შეფარდების მიზანშეწონილობაზე არ მიუთითებდეს. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოიკვეთა პრობლემა, რომ დამატებითი წყაროებიდან (მაგალითად, სკოლა) ინფორმაციის ამოღება ვერ ხერხდება ცალკეულ შემთხვევაში სოციალური მუშაკები ტერიტორიული სიშორისა და ლოგისტიკური პრობლემების გამო, (მაგალითად, საწვავი) ვერ ახერხებენ შესაბამის დაწესებულებებთან/პირებთან მისვლას, უმეტესად კი იმ მიზეზით, რომ მშობელი ან ბავშვი წინააღმდეგია განხორციელებულ სკოლასთან კომუნიკაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირად (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში) არასრულწლოვანთან ინტერვიუს დროს არსებობს თარჯიმნის საჭიროება. ფოკუს ჯგუფებიდან გაირკვა, რომ ასეთ შემთხვევებში სოციალური მუშაკები უმეტესად თავად იძიებენ თარჯიმანს პირადი კონტაქტების გამოყენებით, ასევე რიგ შემთხვევებში თარჯიმანი არის არასრულწლოვნის მშობელი ან სხვა ოჯახის წევრი. ჩვენი აზრით თარჯიმნის უზრუნველყოფის საკითხი სისტემურად უნდა იქნას გამართული, პრობაციის სააგენტო უნდა უზრუნველყოფდეს საჭიროებისამებრ პროფესიონალი მოუკერძოებელი თარჯიმნის ჩართვას პროცესში, ვინაიდან მშობლის ან სხვა ენის მცოდნე პირის მიერ თარჯიმანის უზრუნველყოფის შემთხვევაში შესაძლოა არსებობდეს ლეგიტიმური კითხვები ინფორმაციის სისრულისა და ობიექტურობის თაობაზე, შესაძლოა მშობლის ინტერვიუმე დასწრებამ გამოიწვიოს არასრულწლოვნის მიერ გარკვეული ინფორმაციის დაფარვა ან არაობიექტურად მიწოდება.

უმჯობესია ასევე სისტემურად აეწყოს ურთიერთობა ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან, რადგან თუ ბავშვი იმყოფება სახელმწიფო ბრუნვაში, სააგენტოს სოციალური მუშაკი წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს. ასეთ შემთხვევებში მათთან კომუნიკაცია არ უნდა იყოს დამოკიდებული პირად კონტაქტებზე, ან სააგენტოს სოციალური მუშაკის ნებაზე, მიაწოდოს ან არ მიაწოდოს ინფორმაცია პრობაციის სოციალურ მუშაკს.

გარდა ამისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატები ითხოვენ არასრულწლოვანთან სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ინტერვიუს პროცესზე დასწრებას. ეს კატეგორიულად ეწინააღმდეგება ინდივიდუალური ანგარიშის შედგენის კონცეფციას, რადგან დასკვნა დგება დამოუკიდებელი, ობიექტური ორგანოს მიერ და მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის გამყარებას. ვფიქრობთ, რომ დაცვის მხარის წარმომადგენლები საჭიროებენ უფრო დეტალურ ინფორმირებას და განმარტებას ანგარიშის შედგენის პროცედურასთან დაკავშირებით.

ნაწილი 1.5 ხარისხის კონტროლი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, მისივე მიღებისთანავე გაიწერა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების გადამზადების და შესაბამისი მოდულების შექმნის ვალდებულება. კერძოდ, 101-ე მუხლში აღნიშნულია, რომ – „2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება; 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღება; 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრებმა უზრუნველყონ ამ კოდექსით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და შესაბამისი ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობა. 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ადვოკატის სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმის დამტკიცება.“

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის N668 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი. აღნიშნული დებულების თანახმად - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია, გავლილი ჰქონდეს ტრენინგები შემდეგ სფეროებში: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები; ანტისოციალურ ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები; ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე; დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა². ამავე დებულებაში ასახულია თითოეული მოდულის მიზანი, ის პასუხისმგებელი სასწავლო დაწესებულებები, ვისაც ჰქონდა შესაბამისი პროფესიონალების გადამზადების ვალდებულება. აღნიშნულ დადგენილებაში საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ რა კომპონენტებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს პროგრამების შეფასება, კერძოდ - ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი; პროგრამის მონაწილეთა დასწრების შეფასება; პროგრამის განხორციელების პროცესში პარტნიორთა დაკვირვებების შედეგები³.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე არ არის განსაზღვრული, თუ როგორ უნდა ხდებოდეს შესაბამისი კანდიდატების შერჩევა გადამზადე-

1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.101.

2 საქართველოს მთავრობის დადგენილება N668 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი, მ.1.

3 იქვე, მ.4.

ბისთვის, ვისაც უნდა დაევალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიანად წარმართვა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე, არ არის განსაზღვრული გადამზადების უწყვეტი პროცესის მარეგულირებელი დებულებები, რაც უმნიშვნელოვანესია ერთიანი სტანდარტის შენარჩუნებისთვის. „პეკინური წესების“ თანახმად – „პროფესიული განათლება, მუშაობის პროცესში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და ინსტრუქტაჟის სხვა სათანადო მოდელები გამოიყენება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მთელი პერსონალის სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის“.¹ აქვე აღნიშნულია, რომ – „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალი უნდა აირჩეს იმ არასრულწლოვანთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან“.² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი ადმინისტრირების აუცილებელი ელემენტია პროფესიული კვალიფიკაცია. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის არჩევის, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების გაუმჯობესება და მათთვის ყველა საშუალების გადაცემა, რათა შეძლონ დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხისთვის აუცილებელია, რომ ამ პროცესში ჩართული ყველა სპეციალისტი, მათ შორის, სამართალდამცავი და იურიდიული სამსახურების თანამშრომლები ტრენინგების საშუალებით გაეცნონ ზოგადად კონვენციის, კონკრეტულად კი, მისი იმ ნაწილის შინაარსსა და დებულებების მნიშვნელობას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურ პრაქტიკასთან. ტრენინგები უნდა მომზადდეს სიტუაციურად და უწყვეტად, ხოლო ინფორმაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებით“.³

სამწუხაროდ აღნიშნული დადგენილება და შემდგომი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაცია განხორციელდა ერთჯერადად, თუმცა არ ჩანს სწავლების პროცესის უწყვეტობის, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შეფასების სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში გამოიკვეთა სოციალური მუშაკების დამატებითი და სისტემური გადამზადების საჭიროება. კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურ მუშაკებს არასაკმარისი ცოდნა გააჩნიათ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რაც აისახა კიდევ ანგარიშების მომზადების ხარისხზე. შეხვედრებისას, მათ ხაზი გაუსვეს, რომ სურვილი აქვთ გაიარონ გადამზადება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა საერთო სასა-

¹ „პეკინური წესები“, წესი 22.1.

² იქვე, წესი 22.2.

³ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.97.

მართლოების სისტემა, ბრალთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცედურა და ა.შ.

ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს ხარისხის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის კონტროლის სისტემა უწყებებში იყოს დანერგილი იმგვარად, რომ მუდმივად, ყოველდღიურ რეჟიმში იყოს შესაძლებელი პროცესის ანალიზი, ხარვეზების იდენტიფიცირება და სისტემის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. „პეკინურ წესებში“ აღნიშნულია, რომ „ძალისხმევა უნდა დაეთმოს აუცილებელი გამოკვლევის ორგანიზებასა და ხელშეწყობას, რომელიც წარმოადგენს ეფექტური დაგეგმვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძველს“.¹ იქვე ხაზგასმულია, რომ „ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შეიქმნას მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი, შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები და ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით“².

„რიადის სახელმძღვანელო პრინციპების“ თანახმად, „მცდელობები უნდა იქნეს განხორციელებული და შესაბამისი მექანიზმები უნდა შეიქმნას, რათა მრავალ დისციპლინურ და შიდა დისციპლინურ საფუძველზე, ურთიერთობა და კოორდინაცია განხორციელდეს ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სააგენტოებსა და სამსახურებს, მართლმსაჯულების სისტემას, ახალგაზრდებს, საზოგადოებასა და განვითარების სააგენტოებსა და სხვა დაწესებულებებს შორის“.³ იქვე აღნიშნულია, რომ „ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილება და ექსპერტიზა, რომელიც მიიღწევა პიოქტების, პროგრამების, პრაქტიკისა და იმ ინიციატივების საფუძველზე, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულს, დანაშაულის აღკვეთასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, უნდა გაძლიერდეს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე“.⁴

კვლევების/ანალიზის გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის საფუძველად საყოველთაოდ აღიარებულია მნიშვნელოვან მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს თეორიაში არსებულ მიღწევებს და მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება და გაუმჯობესება. მუდმივი კავშირი კვლევებსა და პოლიტიკას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის.⁵

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები მიიღებენ ისეთ კანონმდებლობას, რომელიც დააარსებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას,

1 „პეკინური წესები“, წესი 30.1.

2 „პეკინური წესები“, წესი 30.3.

3 „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“, პ.60.

4 „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“, პ.61.

5 „პეკინური წესები“, წესი 30, კომენტარი.

და სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალისტი გადამზადდება, მაინც შეიძლება დარჩეს განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა განახორციელონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასება, კერძოდ კი შეაფასონ გატარებული ზომების, მათ შორის დისკრიმინაციის, რეინტეგრაციისა და რეციდივიზმთან დაკავშირებული ზომების ეფექტურობა.¹

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა შეაგროვონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკისა და ადმინისტრირების შესახებ ზუსტი, დეტალიზებული მონაცემები და აკონტროლონ ისინი. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, გამოავლინოს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ ტენდენციები და განსაზღვროს საპასუხო ზომებისა და პროგრამების ქმედითობა. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმონ რესურსების მიზნობრივი გამოყოფა და შეიმუშაონ და დახვეწონ ინიციატივები.

ხარისხის კონტროლი როგორც წესი ყველა უწყების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ხარისხის შემოწმება იღებს იმ პროცედურების იმპლემენტაციის შემთხვევაში, რაც თვისობრივად როგორც უწყებისთვის, ასევე მთლიანი მართლმსაჯულების სისტემისთვის სიხალეს წარმოადგენს. ხარისხის კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს შიდაუწყებრივად, ასევე გარეშე უწყებების/ორგანიზაციების მხრიდან მონიტორინგის განხორციელების გზით. შიდა უწყებრივი მონიტორინგის კუთხით, საკითხი მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილია, რადგან პრობაციის ეროვნული სააგენტოს პროგრამების სამმართველოს უფროსი, ასევე ხელმძღვანელი სოციალური მუშაკები ახორციელებენ სხვა სოციალური მუშაკების მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების სუპერვიზიას და მათთვის შეფასების დასკვნებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიცემას. ეს პროცესი მიზნად ისახავს კითხვარის შევსების ინსტრუქციის ერთგვაროვნად გაგების უზრუნველყოფას ცალკეული პროფესიონალების მხრიდან, აგრეთვე წარმოადგენს ხარისხის გადამოწმების მექანიზმს. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სუპერვიზორის ფუნქცია შიდა უწყებრივი კონტროლის შემთხვევაშიც მიბმულია ცალკეულ თანამდებობასთან და სავალდებულოდ არ გულისხმობს მაკონტროლებელ პირებად დამატებითი კვალიფიკაციის ან სპეციალური გადამზადების მქონე პერსონალის განსაზღვრას.

რაც შეეხება გარე მონიტორინგს, მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების მხრიდან საექსპერტო მხარდაჭერის განხორციელება, ასევე გარკვეული უკუკავშირის მიღება პროცესში ჩართული სხვა სტრუქტურებიდან. კერძოდ, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ინფორმაციის მსგავსი ფორმატით გაცვლა არ ხდება. სოციალურმა მუშაკებმა (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა როდესაც ისინი

¹ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.99.

ნი ინფორმაციას თავად კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისგან ან მისი მშობლების ან ადვოკატებისგან იღებენ), არ იციან რა გავლენა იქონია მათ მიერ მიწოდებულმა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშმა კონკრეტული ბრალდებულის ბედზე. მათთვის ასევე უცნობია, რამდენად გასაგებად იქნა მიწოდებული ინფორმაცია სასამართლოსთვის, რა მოსაზრებები გამოითქვა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თაობაზე სასამართლო მხარეების (ბრალდების, დაცვის) მიერ. ინტერვიუს დროს, პრობაციის სააგენტოს თანამშრომლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამგვარი უკუკავშირი დაეხმარება მათ მოახდინონ საქმიანობის უკეთ დაგეგმვა და ოპტიმიზაცია, თუმცა მოსამართლეებთან შეხვედრის დროს ვერ მოხდა უკუკავშირის გაცვლის კონკრეტულ ფორმაზე შეჯერება. ჩვენი აზრით, შესაძლოა მულტიდისციპლინური შეხვედრის დონეზე, არსებული პრაქტიკის განზოგადების შედეგად, მოხდეს სოციალური მუშაკებისთვის ერთიანი უკუკავშირის მიწოდება და იმ გამოწვევებზე ან დადებით მხარეებზე მსჯელობა, რაც არსებულმა პრაქტიკამ გამოავლინა კოდექსის ამოქმედების შემდეგ. ფოკუს ჯგუფებზე გამოითქვა ასევე მოსაზრება მოსამართლეებისა და სოციალური მუშაკების ერთობლივი შეხვედრის/ტრენინგის ორგანიზების შესახებ.

ნაწილი 1.6 ბავშვის უფლება იყოს ინფორმირებული

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ ზოგადი უფლების გარდა, როდესაც ბავშვის მიმართ მიმდინარეობს ადმინისტრაციული თუ სასამართლო საქმისწარმოება, მას უფლება აქვს, მოუსმინონ საქმის განხილვისას როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესით¹.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12² განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ბავშვის უფლებას, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე და იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების ხმები უფრო და უფრო მნიშვნელოვან ძალას იძენს შესაბამისი ასპექტების გაუმჯობესების, რეფორმების და ბავშვთა უფლებების განხორციელების საკითხში³.

საკმარისი არ არის, სახელმწიფომ უბრალოდ გაითვალისწინოს კანონმდებლობაში, რომ ბავშვს აქვს უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. სახელმწიფომ ასევე უნდა

¹ „პეკინური წესები“, წესი 14 (2).

² ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N12 (2009), ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი, გაეროს დოკ. ჩღჩ/ჩ/გჩ/12.

³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10(2007), პ.12

უზრუნველყოს, რომ ბავშვებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვა „თავისუფლად“ შეეძლოთ იმ სიტუაციებში, რომელიც მათზე გავლენას ახდენს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვებს უნდა შეეძლოთ, გამოხატონ საკუთარი თავი ყოველგვარი ძალადობის, ზემოქმედების ან თავშეკავების გარეშე. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, როგორც მთლიანობა, შეიძლება ძალიან დამაშინებელი იყოს ბავშვისთვის. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით პროკურორები, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები იმგვარად უნდა იყვნენ მომზადებულები ბავშვებთან ურთიერთობისთვის, რომ საშუალება მისცენ მათ, გამოხატონ საკუთარი თავი.

ბავშვებს ესაჭიროებათ დახმარება, რათა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში განახორციელონ თავიანთი უფლება, იყვნენ მოსმენილნი. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს უფლებას დაცვის მომზადებისა და წარმოდგენისათვის იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფის შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ¹, რომელიც შეეხებოდა მცირეწლოვანი ბავშვების მეურვეობის საკითხს, აღნიშნულია, რომ - „სასამართლოს აზრით, არაჯეროვანმა წარმომადგენლობამ და შედეგად ბიჭების შეხედულებების სათანადოდ წარდგენასა და მოსმენაში წარუმატებლობამ (მარცხმა) შეარყია არსებულ საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროცედურული სამართლიანობა; რაც კიდევ უფრო გამძაფრდა ბიჭების საუკეთესო ინტერესების არაადექვატური და ცალმხრივი შეფასებით, სადაც მათი ემოციური მდგომარეობა უბრალოდ იგნორირებული იქნა. ზემოთ ხსენებულის საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლში განსაზღვრული ბიჭების უფლების - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება - დარღვევას“¹.

აღსანიშნავია საკითხი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ბრალდებულისთვის გაცნობის შესახებ. ინდივიდუალური ანგარიშის თავდაპირველი კონცეფცია² გულისხმობდა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომლის თაობაზეც ხდებოდა ანგარიშის შედგენა, უნდა გაცნობოდა მის შესახებ შეკრებილ და დამუშავებულ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას შეიძლება ზიანი მიეყენებინა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის (მაგ: სექსუალური ძალადობის შემთხვევები, როდესაც ბავშვი შესაძლოა სრულად თავადაც ვერ აცნობიერებდეს მისი ქმედების შინაარსს, ან მის შესახებ ცალკეული ინფორმაციის გაცნობამ, სოციალური მუშაკის მხრიდან მისმა შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ძლიერი აღელვება, აგრესია და ა.შ). ბრძანების დამტკიცების შემდეგ, ჩამოყალიბდა პრაქტიკა, როდესაც სოციალურ მუშაკს არ ეკისრება ანგარიშის შინაარსის არასრულწლოვანისთვის გაცნობის და მათგან ამ საკითხზე უკუკავშირის მი-

1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, პ.84.

2 კონცეფცია მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რის შედეგადაც მომზადდა შემდგომში ზოგადი რეგულაციები. ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა შეფასების ინსტრუმენტი (კითხვარი), რომელსაც ამჟამად იყენებენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები.

ლების ვალდებულება. შედეგად, არასრულწლოვნებისთვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შინაარსი მაინც ხდება ხელმისაწვდომი დაცვის მხარის მხრიდან, რასაც პრაქტიკულად შესაძლოა მოყვეს უფრო მეტი დაძაბულობა და მღელვარება. უძვობესია და სამართლებრივი თვალსაზრისით უფრო სწორია, რომ სოციალური მუშაკი, პირისპირ საუბრისას, ბავშვისთვის გასაგები და მისაღები ფორმით ახორციელებდეს აღნიშნული ინფორმაციის მისთვის გაცნობას. ამასთან, რიგ შემთხვევებში დაცვის მხარის წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს ანგარიშის შინაარსით მანიპულირებას. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში ისინი არასრულწლოვანს უცხადებენ, რომ მკაცრი სასჯელი ან ნაკლებად ლიბერალური მიდგომა გამოიწვია პრობაციის სოციალური მუშაკის ანგარიშმა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს აგრესია არასრულწლოვნის მხრიდან.

ნაწილი 1.7 პროფესიული ეთიკის საკითხები

დიღემას წარმოადგენს საკითხი, რამდენად არის სოციალური მუშაკი ვალდებული სასამართლოს/პროკურორს აცნობოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვა დანაშაულის შესახებ ინფორმაციას და რომელიც მისთვის გახდა ცნობილი არასრულწლოვან ბრალდებულთან ინტერვიუს დროს. ამ მხრივ, ცალკეული სოციალური მუშაკების განმარტებით, ერთმანეთს ეჯახება პროფესიული ეთიკა და საზოგადოებრივი ინტერესი, სოციალური მუშაკის ვალდებულება განაცხადოს ისეთი ქმედების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას. ამ დროს სოციალური მუშაკები ცდილობენ კონსულტაცია გაიარონ ხელმძღვანელ სოციალურ მუშაკთან და ისე გადაწყვიტონ აღნიშნული საკითხი, თუმცა ფოკუს ჯგუფებმა ცხადყო, რომ მათი მიდგომა არაერთგვაროვანია. მნიშვნელოვანია ასევე, უნდა განახორციელოს თუ არა სოციალურმა მუშაკმა ვიზიტი სკოლაში, როდესაც არასრულწლოვანი და ოჯახი ამის წინააღმდეგია. ცალსახა პასუხი პრაქტიკაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს. გაუგებრობის თავიდან აცილებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, მიზანშეწონილია პრობაციის ეროვნულმა სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებზე და დაამკვიდროს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც იმავდროულად შესაბამისი იქნება კანონმდებლობასთან, ამავე დროს სოციალურ მუშაკებს უნდა განემართოს, რომ ახალი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მათ ეკისრებათ დანაშაულის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდების/შეტყობინების ვალდებულება.

ნაწილი 1.8 სერვისების დეფიციტი

არსებობს აგრეთვე რისკი, რომ შეზღუდული სერვისების პირობებში, შესაძლოა სოციალური მუშაკის მიერ რეკომენდებული პროგრამები, სადაც ხდება არასრულწლოვნის გადამისამართება, იყოს მხოლოდ ფორმალური ხასიათის და ვერ ხერხდებოდეს არასრულწლოვნის რეალური საჭირო-

ებების დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაში, თუ სერვისი არ არის მორგებული არასრულწლოვნის ინტერესებსა და საჭიროებებს, დგება მათი მოტივირების პრობლემა. ამ დროს ძნელია დაარწმუნო არასრულწლოვანი, რომ აქტიურად ჩაერთოს ცალკეულ პროგრამაში.

ნაწილი 1.9 რეკომენდაციები

არსებული კანონმდებლობის ანალიზის, ჩატარებული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფებისა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში არსებობს რიგი საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზებისა, რომელთა გამოსწორებისთვის საჭიროა გარკვეული ქმედებების განხორციელება. რეკომენდაციები:

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს

1. კანონქვემდებარე აქტში, რომელიც აწესრიგებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის პროცედურას, განისაზღვროს ვადა (სასურველია 10 სამუშაო დღის ოდენობით), რა ვადაც უნდა ჰქონდეს სოციალურ მუშაკს ანგარიშზე მუშაობისთვის;
2. შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთან ერთად ფსიქოლოგის მონაწილეობა ოფიციალურად გაიწეროს შესაბამის კანონქვემდებარე აქტში;
3. სოციალურმა მუშაკებმა სასამართლოსა და პროკურატურას გაუგზავნონ არა სრულად შევსებული კითხვარი, რომელიც აერთიანებს დეტალურ ინფორმაციას ყველა წყაროსთან შეხვედრისა და საუბრის შესახებ, არამედ მხოლოდ არსებული ინფორმაციის შედეგად გაანალიზებული დასკვნა, რაც უფრო მართებული იქნებოდა მათი პროფესიული ეთიკიდან და პერსონალური მონაცემების პატივისცემიდან გამომდინარე;
4. კანონქვემდებარე აქტში ან სოციალური მუშაკების ეთიკის დოკუმენტში აისახოს, რომ სოციალური მუშაკის შეხედულებით შესაძლებელი იყოს ცალკეული წყაროების კონფიდენციალურად შენახვის შესაძლებლობა;
5. სოციალურ მუშაკებს კანონქვემდებარე აქტით დაეკისროთ არასრულწლოვნისთვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გაცნობის ვალდებულება (გარდა ზემოთ მითითებული შემთხვევებისა); ეს შესაბამისობაში იქნება როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ ბავშვის მონაწილეობის უფლებასთან, ასევე პერსონალური მონაცემების შესახებ კანონთან, რომლის თანახმად ყველას აქვს უფლება გაეცნოს იმ მონაცემებს,

რომლებიც მის შესახებ გროვდება და მუშავდება სახელმწიფო უწყების მხრიდან;

6. მნიშვნელოვანია განისაზღვროს სოციალური მუშაკების საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემა. შიდა უწყებრივი სუპერვიზია დაევალოთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც გავლილი აქვთ გადამზადება/დამატებითი კვალიფიკაცია ინდივიდუალური ანგარიშის მომზადების საკითხებზე, ასევე აქვთ აღნიშნული კუთხით მეტი პრაქტიკული გამოცდილება.
7. მნიშვნელოვანია ცალკეულ საკითხებზე (ახალი დანაშაულის გამოვლენის შემთხვევა, ოჯახის წინააღმდეგობის პირობებში სკოლის მონახულების საკითხი) სოციალურ მუშაკებს მიეწოდოთ დამატებითი ინსტრუქციები;
8. მიზანშეწონილია განხორციელდეს სოციალური მუშაკების გადამზადება სამართლებრივ საკითხებთან და პროცედურებთან დაკავშირებით;

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს საქართველოს განათლების მინისტრს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

9. მნიშვნელოვანია სისტემურად გაიმართოს ურთიერთობა განათლების სამინისტროსთან (სკოლებთან), ჯანდაცვის სამინისტროსთან (სოციალური მომსახურების სააგენტო), ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას დამოუკიდებელი პროფესიონალი თარჯიმნების მოწვევის შესაძლებლობა;

საქართველოს მთავრობას

10. გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა, გაიზარდოს პრობაციის სააგენტოს ადამიანური რესურსები;

საქართველოს მთავრობას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

11. პრობაციის სააგენტოში გაიზარდოს, არა მხოლოდ სოციალური მუშაკების რიცხვი, არამედ დაემატოს რამდენიმე ფსიქოლოგის შტატი. ინდივიდუალური შეფასების პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის შემთხვევაში, საჭირო გახდება დამატებითი სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა, რომლის საფუძველზეც ნათლად იქნება გაწერილი მისი ფუნქციები, შეფასების პროცესში მონაწილეობის შემთხვევები და აქტივობის სახეები (კონსულტირება, შეფასება და სხვა), დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევები და მათი მოქმედების არეალი;

**საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს**

12. გაუმჯობესდეს სასამართლოსა და სოციალურ მუშაკებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა, განისაზღვროს სასამართლოს მხრიდან საკონტაქტო პირი და მიმართვის ზუსტი პროცედურა და ფორმები;

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას
უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს**

13. მნიშვნელოვანია განხორციელდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შესახებ სამართალწარმოების მონაწილეთა (განსაკუთრებით დაცვის მხარის, ასევე კანონიერი წარმომადგენლების, საპროცესო წარმომადგენლების) ცნობიერების ამაღლება;

სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს

14. მნიშვნელოვანია მულტიუწყებრივი შეხვედრების, ან სხვა პლატფორმის (რეგულარული სტატისტიკის გაცვლა, ანალიტიკური ბიულეტენი) ფარგლებში, სოციალურ მუშაკებს მიეწოდოთ უკუკავშირი ანგარიშების შინაარსთან, ასევე მათი გათვალისწინება/უარყოფის ფაქტებთან დაკავშირებით და აღნიშნული შეხვედრების ორგანიზაცია უზრუნველყოს არა დონორმა ორგანიზაციამ, არამედ შესაბამისმა სახელმწიფო დაწესებულებებმა.

II ნაწილი

2. დასრულებული საქმეების ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის ფარგლებში, თბილისისა და რეგიონების მასშტაბით, განხორციელდა სოციალური მუშაკების მიერ შედგენილი ინდივიდუალური შეფასები ანგარიშების ანალიზი. პროექტის ექსპერტების მიერ, მოხდა 100 დეპერსონალიზებული ანგარიშის გაცნობა, რამაც შესაძლებელი გახადა იმ ძირითადი ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც უკავშირდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შევსებას. მითითებული ხარვეზების ნაწილი სისტემურია, რიგ შემთხვევებში კი საუბარია ერთეულ შემთხვევებზე, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა იმ გამოწვევაზე საუბარი, რაც საქმეების ანალიზმა გამოავლინა. ხარვეზები ცალკე იქნა გამოყოფილი:

1. ანგარიშებში გამოიკვეთა წყაროების სიმცირე. როგორც წესი, თითქმის არცერთ ანგარიშში გამოყენებული არ ყოფილა შესაძლებლობა სკოლიდან მიეღოთ ინფორმაცია არასრულწლოვნის შესახებ (მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არის ინფორმაცია სკოლიდან და მეზობლებისგან, მათ შორის წყაროები სრულად არ არის გამოყენებული, ზოგიერთ ისეთ შემთხვევაშიც, სადაც ანგარიშის მოსამზადებლად განსაზღვრული იყო 10 დღე);
2. სოციალურ მუშაკებს ნაკლებად ესმით, სამართლებრივი დეფინიციები და ტერმინოლოგია, შესაბამისად ადგილი აქვს მუხლების სახელწოდებების, არასრულწლოვანთა სამართლებრივი სტატუსის არასწორად მითითებას;
3. ხშირად ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში გადმოცემული ინფორმაცია ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც ანგარიშის წაკითხვისას იწვევს გაუგებრობას. ამგვარი ორაზროვანი ანგარიშის აღქმა მოსამართლისთვის გააჩნის დამატებით კითხვებს, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია სოციალურმა მუშაკებმა ანგარიშში ასახონ ზუსტი და ერთგვაროვანი ინფორმაცია, რაც მაქსიმალურად ბევრი წყაროდან იქნება გადამოწმებული;
4. ერთ-ერთ ანგარიშში, როდესაც არასრულწლოვანი იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც განხორციელდა კიდევ მასთან შეხვედრა, დაწესებულების სოციალური მუშაკი ინფორმაციის წყაროდ გამოყენებული არ ყოფილა. ასეთ შემთხვევებში სასურველი და რეკომენდებულია დაწესებულების იმ თანამშრომელთან გასაუბრება, რომელიც ფლობს ინფორმაციას არასრულწლოვნის შესახებ და შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდეს. ეს ასევე ხელს შეუწყობს შეფასებითვის საჭირო, უფრო მეტად ობიექტური ინფორმაციის მოძიებას;
5. არსებობს უზუსტობები წყაროების მონიშვნისას, მაგ: წყაროდ მონიშნულია მეუღლე, შემდეგ კი აღნიშნულია, რომ არასრულწლო-

ვანს მეუღლე არ ჰყავს, ასევე არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის ერთდროულად მონიშვნის პრაქტიკა, რასაც არ მოყვება განმარტებები და ფაქტიურად გაუგებარს ხდის ობიექტურ ინფორმაციას. რიგ შემთხვევებში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინფორმაციის ნაწილი ხარჩენილია იმავე არასრულწლოვნის წინა ან სხვა არასრულწლოვნის ანგარიშიდან;

6. ხშირად სოციალური მუშაკის დასკვნა ლოგიკურად არ გამომდინარეობს ანგარიშის მოცემულობიდან, ცალკეულ შემთხვევებში არსებობს რეკომენდაციების რელევანტურობის პრობლემა;
7. ანალიზისას შეგვხვდა ანგარიში, სადაც საუბარი იყო, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, რადგან ისინი ადგილზე არ იმყოფებოდნენ;
8. ზოგიერთ ანგარიშში, შეფასების სირთულის მიზეზად მითითებულია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი ვერ ფლობს სახელმწიფო ენას და ქართულად საუბარი უჭირს. ეს მიზეზი ვერ იქნება არასრულწლოვანი შეფასების ანგარიშის არგუმენტად გამოყენებული, რადგან სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში პრობაციის სააგენტოს სახით) ეკისრება ვალდებულება საჭიროებისამებრ უზრუნველყოს არასრულწლოვანი თარჯიმნით;
9. სოციალური მუშაკების მხრიდან, არასრულწლოვნის ადრეული ასაკიდან მუშაობის მის ცალსახად ძლიერ მხარედ მითითება, შესაძლოა არ იყოს რელევანტური, პირიქით ხშირად ადრეული ასაკიდან მუშაობაში (თუნდაც ოჯახურ მეურნეობაში) ჩართვა ხორციელდება ბავშვის მნიშვნელოვანი უფლებების ხელყოფის ხარჯზე (განათლების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება) და რიგ შემთხვევებში უფრო მეტ რისკებს ქმნის, ვიდრე დამცავ ფაქტორებს;
10. რიგ შემთხვევებში, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ანგარიშების ცალკეული გრაფები შეუვსებელია, მაგ: დამცავი ფაქტორები, ალკოჰოლზე დამოკიდებულება და ა.შ;
11. მნიშვნელოვანია, რომ ის ინფორმაცია, რაც აშკარად არათავსებადი კრიტიკულად იქნას გააზრებული სოციალური მუშაკების მიერ და/ან მოხდეს მათი სხვა წყაროებთან გადამოწმება, ან იმავე წყაროსთან დამატებითი კითხვებით ინფორმაციის დაზუსტება და განმარტება;
12. საკმაოდ დიდი აქცენტი კეთდება რელიგიურ საკითხებზე, როგორც დამცავ ფაქტორზე. პრიორიტეტული აქცენტის გაკეთება ამ თემაზე მიზანშეწონილი არ არის. შესაძლოა ცალკეული რელიგიური უმცირესობების დოქტრინები არ იყოს ცნობილი არც სოციალური მუშაკისთვის და არც მოსამართლისთვის, შესაბამისად მათთვის ბუნდოვანი იქნება რელიგიის, როგორც დამცავი ფაქტორის როლი. ამასთან მაღალ რწმენას/რელიგიურობას და დანაშაულის ჩადენას შორის კორელაცია რაიმე კვლევით დადგენილი არ არის;
13. ხშირად გამოიყენება ისეთი პროფესიული ტერმინები, როგორიცაა „ქცევის პატერნი“, „ადიქცია“, „კონფორმულობა“, „ავტორიტეტული

და ავტორიტარული აღზრდის სტილი“ და ა.შ. მნიშვნელოვანია დავ-რწმუნდეთ რომ მოსამართლეებს, პროკურორებს, რომლებიც პრო-ფესიით არიან იურისტები და არა სოციალური მუშაკები, ზუსტად ეს-მით ამ სიტყვების მნიშვნელობა. შეფასების ანგარიშებში მოცემული დასკვნები არ უნდა იყოს დატვირთული სპეციფიკური, პროფესიული ტერმინოლოგიით;

14. მნიშვნელოვანია ანგარიშის შევსებისას სოციალურ მუშაკებს ახ-სოვდეთ: ანგარიშის შევსების მიზანი, ადრესატი. შეფასება მიმარ-თული იყოს ძირითადად განმეორებითი დანაშაულის რისკების შეფასებისკენ და ოპტიმალური სასჯელის განსაზღვრის ხელშეწყობისკენ. რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, რომლებიც ზოგადად მიზანშეწონილია გაწეული იყოს, ინდივიდუალურად არასრულწლოვ-ნისთვის, ისინი ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი;
15. არის შემთხვევები, როდესაც სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის პრობლემები სახეზე არ არის, არასრულწლოვანი არის მშვიდი და პოზიტიური, არ უჭირს თავის მართვა, თუმცა ამავე არასრულწლოვანზე არსებობს სამედიცინო დიაგნოზი „ფოთვითი აშლილობის ნიშნები“. აქ ჩანს, რომ თითქოს სოციალური მუშაკი აღნიშნულ დასკვნას არ ეთანხმება, თუ დიაგნოზის შემდეგ რამე შეიცვალა, ეს უნდა იყოს მითითებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სამედიცინო დასკვნა სპეციალური ცოდნის არმქონე პირის ზეპირ შეფასებაზე სანდოდ მიიჩნევა. იყო შემთხვევა, როდესაც ანგარიშში ეწერა, რომ არასრულწლოვანს არ აქვს ფსიქიკური პრობლემები, თუმცა დანაშაული გულისხმობდა გარდაცვლილთან სქესობრივი კონტაქტის დამყარებას, რაც საკმაოდ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს არასრულწლოვანის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით;
16. არაერთგვაროვანია წყაროების მონიშვნის საკითხიც, ზოგან რო-დესაც მეზობელია მსხვერპლი, მონიშნულია უცნობი, არაგამიზნუ-ლი მსხვერპლი ან პირიქით ზოგან წერია კონკრეტული, გამიზნული მსხვერპლი და შემდეგ მონიშნულია უცნობი, უმჯობესია არსებობ-დეს ერთგვაროვანი მიდგომა;
17. განრიდების შემთხვევებში ხდება განმეორებითი ქმედების მონიშ-ვნაც. განრიდება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობად არ ითვლება და არ უნდა ჩაითვალოს შემდგომი ქმედება განმეორებით დანაშაულად, თუმცა შეფასება ხდება იმ დანაშაულზეც, რომლის გა-მოც არასრულწლოვანი იყო განრიდებული;
18. ხშირად ანგარიშებში (რომლებიც სრულად იგზავნება სასამართ-ლოში/პროკურატურაში), ასახულია არასრულწლოვანის ახლო ნა-თესავების სამედიცინო დიაგნოზები, რომლებიც არანაირ შემხებ-ლობაში არ არის დანაშაულთან და არ წარმოადგენს დანაშაულის განმაპირობებელ ფაქტორს (იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშა-ულის ჩადენასთან ან არასრულწლოვანის ქცევასთან ცალკეული სა-მედიცინო დიაგნოზის კავშირი ანგარიშიდან არ დგინდება). აქედან გამომდინარე, ამის მითითება სრულიად უსარგებლოა მიზნიდან

- გამომდინარე, თუმცა მეორეს მხრივ მათი კონფიდენციალურად შენახვა ძალიან მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, ვისი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური ინფორმაციაც მულავნდება;
19. ზოგიერთ ანგარიშში ვაკეთებულა სუბიექტური შეფასებები, რეალურად კი წყაროს მხოლოდ არასრულწლოვანი წარმოადგენს. საინტერესოა რაზე დაყრდნობით აკეთებს ასეთ დასკვნას სოციალური მუშაკი. რამდენად შესაძლებელია აღნიშნული დასკვნა გაკეთდეს 1 ან 2 ხანმოკლე შეხვედრის შედეგად; ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის ოჯახი არის სიღარიბის ზღვარს მიღმა, თუმცა მითითებულია, რომ „კვების რეჟიმი გავრეებულია მოზარდისთვის საჭირო ინგრედიენტებით“. უკეთესია, თუ სოციალური მუშაკი ურთიერთსაწინააღმდეგო ან საკამათო ინფორმაციის არსებობისას, მტკიცებით ფორმაში არ გააკეთებს ანალოგიურ დასკვნებს;
 20. ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ მხარდამტყერის სტატუსით მოიხსენიება ოჯახის წევრი მხოლოდ მისი ნათესაური კავშირის, და არა რეალური მხარდატყერის, შესაძლებლობის გამო. მნიშვნელოვანია, შეფასდეს რამდენად შესწევს ოჯახის წევრს რეალური მხარდატყერის აღმოჩენის უნარი, რამდენად აქვს ამისი სურვილი და შესაძლებლობა (როგორც ადრე, ისე ამჟამად არსებული მდგომარეობისა და არასრულწლოვანთან მისი დამოკიდებულების შეფასებით);
 21. მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკებმა ცხადად შეაფასონ დამცავი ფაქტორები და რისკ ფაქტორები, რაც გამორიცხავს არასრულწლოვნის ძლიერ მხარედ არარელევანტური ფაქტორების მითითებას;
 22. ერთ-ერთ ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის სიმორის გამო, ოჯახში ვიზიტი ვერ განხორციელდა. ეს არ შეიძლება იყოს ვიზიტზე უარის თქმის არგუმენტი, უნდა არსებობდეს საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსი (სატრანსპორტო საშუალება, საწვავი, სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობა), რაც უზრუნველყოფს, სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ვალდებულების შესრულებას, რათა არ დაზარალდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

III ნაწილი

3.1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოებისას ინსტრუმენტისა და შეფასების პროცესის ანალიზი

ა) შეფასების მიზნის არაერთგვაროვანი გაგება

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოების პროცესში მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ყველა თანამშრომელს, შეფასების მიზნის ერთგვაროვანი გაგება ჰქონდეს. შეფასების მიზანია: მოსამართლეს დაეხმაროს სრულყოფილად განხილული, დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღებაში სასჯელის სახისა და არსის განსაზღვრის თაობაზე. შედეგად, სასჯელის სწორი ფორმის შერჩევის გზით მოხდეს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაძლო მიზეზებისა და მაპროვოცირებელი ფაქტორების შესახებ. მასში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბავშვის საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ძლიერ მხარეებსა და რესურსებზე, ასევე დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკ ფაქტორებზე.

არსებული პრაქტიკით კი იკვეთება სოციალური მუშაკების განსხვავებული მოსაზრება ანგარიშის დანიშნულებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი თვლის, რომ ანგარიში უზრუნველყოფს „არასრულწლოვნის მთლიან პორტრეტს“, მოსამართლისთვის სრული ინფორმაციის მიწოდებას ყველა სფეროს ირგვლივ, რაც ეწინააღმდეგება შეფასების მიზანსა და ინსტრუმენტის დანიშნულებას: განსაზღვროს დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები და დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი.

ბ) აღრევა რისკისა და საჭიროების ფაქტორებს შორის

მნიშვნელოვანი ასპექტი დაკავშირებულია ისეთი ფაქტორების დიფერენცირებასთან, როგორცაა დანაშაულის გამომწვევი რისკ ფაქტორები და არასრულწლოვნის საჭიროებები.

რისკის ცნების წარმოშობა უკავშირდება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სამართალდარღვევების გამოჩენას და მასთან გამკლავების ეფექტური გზების ძიებას მართლმსაჯულების სიტემაში. სისტემას დაევალა მაღალი ზიანის რისკის მქონე დამნაშავეების იდენტიფიცირება და მათი მართვა.¹

რისკის პრინციპს აქვს ორი ასპექტი: (1) კრიმინალური ქცევის წინასწარი განსაზღვრა შესაძლებელია და (2) მკურნალობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის რისკის დონეს.²

1 *საძაგლიშვილი შ., სამართალდამრღვევთან მუშაობის მეთოდები, პრობაციის მეთოდების მიმოხილვა, სახელმძღვანელოში კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, 136.*

2 *ენდრიუსი და ბონტა, „კრიმინალური ქცევის ფსიქოლოგია“ მე-5 გამოცემა, ანდერსონის გამომცემლობა, 2010, 47.*

რისკის პრინციპი გულისხმობს, რომ გამოსასწორებელ პროგრამებში ყველაზე ფართოდ უნდა ჩაერთონ პირები, რომელთაც მაღალი ალბათობით შეიძლება ჩაიდინონ ხელახალი დანაშაული. ამის საპირისპიროდ, რეციდივის განხორციელების დაბალი რისკის მქონე პირები ნაკლებ ხარვეზს საჭიროებენ და მათ მიმართ რესურსის ხარჯვა მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია.

ენდრიუსისა და ბონტას კვლევების საფუძველზე, რისკ ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად: სტატიკური, დროში უცვლელი (მაგალითად, სქესი, დანაშაულის ჩადენის ისტორია) და დინამიკური, ცვალებადი, კრიმინოგენული (მაგალითად, კრიმინალური მეგობრები). თავის მხრივ დინამიკური ფაქტორები იყოფა ორ ქვეკატეგორიად: სტაბილური, ცვლილებებისადმი რეზისტენტული (კრიმინალური მეგობრები, ანტისოციალური პიროვნება) და მწვავე, სწრაფად ცვალებადი (სამსახურის დაკარგვა, პარტნიორთან დაშორება). სტაბილური რისკფაქტორები წარმოადგენს გრძელვადიანი, ხოლო მწვავე - სწრაფი ინტერვენციის ფოკუსს.

საჭიროების პრინციპიდან გამომდინარე, ეფექტური მკურნალობა მიმართული უნდა იყოს კრიმინოგენური საჭიროებების მიმართულებით, რომელიც არის დინამიკური რისკ ფაქტორები, არაკრიმინოგენური საჭიროებების მკურნალობა შედეგად არ მოიტანს რეციდივის შემცირებას.

ამგვარად, რისკების შეფასების არსსა და მიზანს განსაზღვრავს დანაშაულის ჩამდენი პირების დაყოფა მაღალი, საშუალო და დაბალი რეციდივის რისკის მატარებლებად.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების გაცნობისა და პრობაციის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში კი გამომიკვეთა, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში წარმოდგენილი რისკისა და დამცავი ფაქტორების შესახებ არაერთგვაროვანი ინფორმაცია, აჩენს ანგარიშის არასწორად ინტერპრეტაციის პრობლემას. (მაგალითად რისკად განხილულია საკითხები: ასთმა, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, დამცავ ფაქტორად ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოსტიკა) აღნიშნული ინფორმაციის დეფიციტი შემდგომში აისახება არასწორი რეკომენდაციის განხორციელებაში, მაგალითად: სოციალური მუშაკების მიერ ხდება მითითება, რომ აღნიშნულ არაკრიმინოგენურ საჭიროებებთან მიმართებაში საჭიროა ინტერვენციის დაგეგმვა, თუმცა მათი გამოსწორება (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სიღარიბე და სხვა) აუცილებლად რეციდივის შემცირებასთან არ არის დაკავშირებული.

აღნიშნული ფაქტორების დიფერენცირების პრობლემა, (რომელია დანაშაულთან დაკავშირებული რისკ ფაქტორი და რომელი კრიმინოგენური საჭიროება) სხვა სპეცილისტების (მოსამართლეები, პროკურორები და სხვა) მხრიდან არასწორი დასკვნისა და რეკომენდაციების გაკეთების საფრთხეს ქმნის.

გ) შემთხვევის მართვა

იმ ინსტრუმენტების უმრავლესობა, რომლებიც აფასებს სამართალდამრღვევის რეციდივის რისკს, ასევე ახდენს სამართალდამრღვევის საჭიროებების განსაზღვრას. საჭიროებების შეფასება მნიშვნელოვანია ჩარევების

დანიშვნისა და შემთხვევების მართვის მიზნებისთვის. შეფასების სტრატეგიები ინსტრუმენტის გაუმჯობესებასთან ერთად იცვლება. პირველი თაობის შეფასების ინსტრუმენტები მხოლოდ პროფესიონალის მსჯელობას ეფუძნებოდა და არ იყო გამოსადეგი შემთხვევის მართვისთვის. მეორე თაობის ინსტრუმენტები სტატიკურ ფაქტორებს ეფუძნებოდა და იძლეოდა ინფორმაციას საჭიროებების შესახებ, მესამე თაობის ინსტრუმენტებში წარმოდგენილია რისკისა და საჭიროებების შკალები და გვაძლევს ინფორმაციას იმ საჭიროებების ცვლილებაზე, რომელიც რეციდივის რისკის შემცირებას გამოიწვევს. მეოთხე თაობის ინსტრუმენტები აფასებს სწორედ იმ ფაქტორებს რომლებიც აუცილებელია შემთხვევის მართვისთვის (ძლიერი მხარეების შეფასება), ხოლო ზოგიერთი მათგანი მოიცავს ჩარევის სუპერვიზიის ფორმასაც, რომელიც მესამე თაობის ფორმებს არ გააჩნიათ. ასეთია, მაგალითად: Youth Level of Service/Case Management Inventory (YSL/CMI), რომელიც აერთიანებს ეფექტური რეაგირებისა და კლინიკური ზედამხედველობის პრინციპების გაძლიერებას¹.

არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების საქმე უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისგან: სასამართლოს/პროკურატურის მომართვის ფორმა, წყაროებიდან მიღებული წერილობითი ინფორმაცია (სკოლა, პენიტენციური დაწესებულება, სოციალური მომსახურების სააგენტო, სხვა.), წინა შეფასების ჩანაწერები (თუ ასეთი არსებობს) მიმდინარე შეფასების ფორმა, დასკვნა, ინტერვენციის გეგმით გაწერილი აქტივობების მონიტორინგი. დღეის მდგომარეობით, არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების საქმე არ არის აკიძული, არ ახლავს თან წინა შეფასებები, დოკუმენტაცია, რის გამოც რთულია შეიქმნას ერთიანი სურათი არასრულწლოვნის ირგვლივ და ამასთან ერთად, განსხვავებით განრიდების პროცესისგან, არ არის ინტეგრირებული ერთიან ელექტრონულ ბაზაში.

სოციალურმა მუშაკმა ხშირად არ იცის, მის მიერ გაწეული რეკომენდაცია ვათვალისწინებული იქნა თუ არა (თუ არასრულწლოვანს პირობითი მსჯავრი აქვს იმ შემთხვევაშიც კი), რადგან შესაძლოა პრობაციის ოფიცრის მიერ რეციდივის დაბალი რისკის დადგენის გამო, არასრულწლოვანი სარეაბილიტაციო პროცესის მიღმა დარჩეს ან საქმე დაეწეროს სხვა ბიუროს, რომლისთვისაც უცნობია ანგარიშით გაწერილი რეკომენდაციები.

შემთხვევის მართვა (ცასე მანაგემენტ) ასევე უნდა გულისხმობდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშისა და გაწეული რეკომენდაციების გადახედვას, ხელახალი შეფასების განხორციელებას, რომელიც ამ პროცესისთვის ცალკე უნდა დარეგულირდეს. საჭიროა გაიწეროს განმეორებითი შეფასების ვადები, სხვა უწყებებთან თანამშრომლობა რეკომენდაციების აღსრულების პროცესში (პენიტენციურ დაწესებულებასთან), ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში აღნიშნული შემთხვევის ყველა ეტაპზე მიყოლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არსებობდეს მეოთხე თაობის ინსტრუმენტი,

1 Young S., Literature Review Risk: Risk Assessment Tools for Children in Conflict With the Law, Irish Youth Justice Service, May 2009, 8.

რომელიც მოიცავდა შემთხვევების სუპერვიზიის ფორმასაც, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ჩარევის გეგმის მონიტორინგსა და შედეგად მინიმუმადე დაიყვანდა აღნიშნულ პრობლემათიკას.

დ) ბავშვთან/ოჯახთან ინტერვიუს სპეციფიკა და რაოდენობა

ინდივიდუალური შეფასების მიზნით რეკომენდებულია მინიმუმ ორი შეხვედრის განხორციელება ბავშვთან და ერთი მშობელთან. თუმცა მთელი რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით, თუ არასრულწლოვანი იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო სოციალური მუშაკი რეგიონული ბიუროს თანამშრომელია, არასრულწლოვანთან ვიზიტი ხორციელდება ერთხელ. აღსანიშნავია შემთხვევები, როდესაც მსგავსი ვიზიტის დროს არასრულწლოვანი სასამართლო პროცესზე იმყოფებოდა, რის გამოც ანგარიში მასთან შეხვედრის გარეშე მომზადდა. (ასევე არის სხვა შემთხვევები, როდესაც მოზარდის ადგილსამყოფელი უცნობია და სხვა.) მნიშვნელოვანია დარეგულირდეს აღნიშნული შემთხვევები, გაიწეროს არასრულწლოვანის მონაწილეობის გარეშე საქმის წარმოების პირობები, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანის შეფასება მოხდეს თბილისისა და ქუთაისის ბიუროს სოციალური მუშაკების მიერ. შედეგად, ანგარიშში ასახულ ინფორმაციას ექნება მეტი სანდოობა, ხოლო არასრულწლოვანი ისარგებლებს თავისი უფლებით და გაეცნობა ანგარიშს.

ე) სხვა უწყებებთან (სოციალური მომსახურების სააგენტო, პენიტენციური დაწესებულებები, სკოლა) ინფორმაციის გაცვლა

პენიტენციური დაწესებულების პროფესიონალებისგან (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სხვა) მიღებული ინფორმაცია ატარებს არაერთგვაროვან ხასიათს, ძირითადად არასრულწლოვანის სკოლაში დასწრებაზე, სპორტულ თუ რეკრეაციულ ღონისძიებებში ჩართულობაზე არის მოცემული ინფორმაცია. ანგარიშებში არ არის მოცემული ინფორმაცია მათი შეფასებით გამოვლენილ საჭიროებებზე, წინა ნასამართლობის ისტორიაზე, რა რეკომენდაციები არსებობდა გათავისუფლებამდე, რა არ შესრულდა და სხვა.

საჭიროა არსებობდეს ინფორმაციის გაცვლის ერთი, ყველასათვის საერთო ფორმა, რაც მოიაზრებს ინფორმაციის ელექტრონულ მიმოცვლასაც, რაც შემდგომში გამოირიცხავს ისეთ ხარვეზებს, როგორიცაა: „არ იყო სოციალური მუშაკი სამუშაო ადგილზე“, „არ იყო დრო ვიზიტისთვის“ და სხვა. ასევე სოციალური მუშაკები, რომლებსაც მხოლოდ ერთხელ აქვთ შესაძლებლობა (რეგონიდან პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვანთან ვიზიტის განხორციელების სირთულეების გამო, იხ. ვიზიტების შესახებ თავი) პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვანთან და მასთან მომუშავე სპეციალისტებთან შეხვედრისას უმჯობესი იქნებოდა მიეწოდოთ ერთი ყველასათვის მისაღები ფორმატიცა და შინაარსის ინფორმაცია.

ვ) ძალადობისა და სექსუალური ხასიათის დანაშაულის შემთხვევები

გამოვლინდა სქესობრივი ხასიათის დანაშაულის დროს ერთი მხრივ სოციალური მუშაკების გაძლიერებისა და მხარდაჭერის საჭიროება მსგავს

სამიზნე ჯგუფთან ინტერვიუს წარმართვის პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, ფსიქოლოგების ჩართულობის აუცილებლობა. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების თავდაპირველი ვერსიით, ფსიქოლოგის ჩართულობას მსგავსი დანაშაულის დროს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა იმის გამო, რომ ეს არ არის ბრძანებით დარეგულირებული, პრაქტიკაში ფსიქოლოგები არ ერთვებიან შეფასების პროცესში.

ფსიქოლოგების პროცესში ჩართულობისთვის საჭიროა გაწერილი იყოს მათი ფუნქციები, მოქმედების ტრაექტორია და სამოქმედო არეალი, შესაფასებელი ტესტების სახით. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა გაიწეროს კონკრეტული მიდგომა სექსუალური ხასიათის დანაშაულებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს რისკის შეფასების სპეციფიკური ფორმის შემუშავებას, (Juvenile Sex Offender Risk Assessment: JSORRAT-II და სხვ.) სოციალური მუშაკების დამატებითი უნარებით აღჭურვას ამ ჯგუფთან მიმართებაში და სპეციფიკური სერვისების შემუშავებას.

8) დაზარალებულის შეფასება

აღსანიშნავია შემთხვევები, როდესაც სოციალური მუშაკის შეფასების წყარო, კერძოდ მშობელი, წარმოადგენს დაზარალებულ მხარეს, ხოლო სოციალური მუშაკი მიმართავს მას არასრულწლოვანზე ინფორმაციის მისაღებად. მსგავსი შემთხვევები საჭიროებს ცალკე ინსტრუქციას, რადგან არსებობს ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებით მიკერძოებულობისა და დაზარალებულთან ინტერვიუს წარმართვის დამატებითი უნარებით აღჭურვის საჭიროება. ასევე სოციალური მუშაკები ასახელებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებული ამავე ოჯახის წევრია, ხოლო ამ ინფორმაციის დანაკლისი არ იძლევა სრულ სურათს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დასადგენად. შესაბამისად, უმჯობესი იქნება თუ სოციალურ მუშაკებს ექნებათ დაზარალებულთან ინტერვიუს პროცესის წარმართვის შესაძლებლობა, რაც მათი დამატებითი უნარებით აღჭურვისა და მათთვის ცალკე ინსტრუქციების დადგენის საჭიროებას წარმოშობს.

თ) სუპერვიზიის პროცესი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის განხორციელების პროცესში

ფოკუს ჯგუფების საშუალებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და უფროს სოციალურ მუშაკებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ უფროსი სოციალური მუშაკების მიერ ხდება ინდივიდუალურ ანგარიშებზე ზედამხედველობა, შესრულების ვადების კონტროლი, შინაარსის კორექტირება და სოციალური მუშაკების მხარდაჭერა, გაძლიერება. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავენ უფროს სოციალურ მუშაკებს არ აქვთ გავლელი დამატებითი გადაზნალება შეფასების ინსტრუმენტსა და მის შევსებასთან დაკავშირებულ ასპექტებზე, რაც ქმნის ინსტრუმენტში აღნიშნული სხვადასხვა საკითხის არაერთგვაროვანი გაგების და, შესაბამისად, კითხვარში მათი გადატანის პრობლემას.

რეგიონებში მომუშავე სოციალური მუშაკების შემთხვევაში სუპერვიზიის ფორმა ძირითადად სატელეფონო კონსულტაციით შემოიფარგლება, რაც

განსაკუთრებით რთული შემთხვევების დროს დამატებითი მხარდაჭერისა და ინტერვენციის საჭიროებას მოითხოვს. გარკვეული პერიოდულობით უნდა ხდებოდეს რთული შემთხვევების ინტერვივის¹ შესაძლებლობა და სხვადასხვა სოციალურ მუშაკებს შორის რთული შემთხვევების განხილვა, რასაც ერთის მხრივ გამოცდილების გაზიარებისა და შეფასების სწორი მიმართულებით განხორციელების მიზანი ექნება.

ასევე მნიშვნელოვანია გაიწეროს ერთი დადგენილი სტანდარტი, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ უფროსი სოციალური მუშაკები მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. ეს სტანდარტი დაარეგულირებდა სუპერვიზიის ვადებს, ფორმებსა და მათ ფუნქციებს ამ პროცესში. მაგალითად: ძირითადი პრობლემების გამოვლენა, რომელთანაც უწევთ გამკლავება სოციალურ მუშაკებს და მასზე დაყრდნობით შესაბამისი სერვისის შემუშავება და სხვა.

ნაწილი 3.2 ინსტრუმენტის ზოგადი სტრუქტურა

ინსტრუმენტი შემუშავებულ იქნა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოება ინდივიდუალური მიდგომის გზით“ ფარგლებში და ეფუძნება პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ აპრობირებულ კითხვარსა და დიდ ბრიტანეთში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების არასრულწლოვანთა რისკებისა და საჭიროების დადგენის ფორმა: ASSET-ს.

თავისი პირველადი სახით ASSET-ი მოიცავს შემდეგ შესაფასებელ სფეროებს:

1. დანაშაულებრივი ქცევა;
2. საცხოვრებელი პირობები;
3. ოჯახური და პიროვნული ურთიერთობები;
4. განათლება, ტრენინგები და დასაქმება;
5. სამეზობლო;
6. ცხოვრების სტილი;
7. მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება;
8. ფიზიკური ჯანმრთელობა;
9. ემოციური და ფსიქიკური ჯანმრთელობა;
10. საკუთარი თავისა და გარემომცოფების აღქმა;
11. ამროვნება და ქცევა;
12. დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ;
13. მოტივაცია ცვლილებებისკენ;
14. პოზიტიური ფაქტორები;

¹ ინტერვივია არის დისკუსია პროფესიონალებს შორის რომლებიც მკურნალობას/ზრუნვას ახორციელებენ. გამოიყენება მაშინ, როდესაც ზოგიერთი საკითხი პრობლემურია და ჯგუფში განხილვას საჭიროებს. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი გადაჭრის გზებს ან მსჯელობენ ალტერნატიულ მეთოდებზე.

15. მოწყვლადობის ინდიკატორი;
16. სხვების მიმართ მნიშვნელოვანი ზიანის ინდიკატორი.

ინსტრუმენტი ფოკუსირებულია დინამიკურ ფაქტორებზე და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია სტატიკური. ASSET-ი 12 ძირითადი რისკ ფაქტორის გარდა აერთიანებს პოზიტიურ ფაქტორებს, მოწყვლადობისა და ზიანის რისკის ბლოკებს. შემფასებელი თითოეულ ბლოკს ანიჭებს 0-4 ქულას შესაბამისი მიზეზის, საფუძვლის მითითებით და დანაშაულებრივ ქცევასთან კავშირის წარმოჩენით.¹

პრობაციის ეროვნული სააგენტოს შემთხვევაში სახეზეა ინსტრუმენტის მოდიფიცირებული ვარიანტი, ზოგიერთი ბლოკისა და ქულების მინიჭების გარეშე.

ამჟამინდელი ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტი შედგება 10 თავისგან, რომლისთვისაც შემფასებელმა უნდა განსაზღვროს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი (რეალური თუ პოტენციური) და დამცავი ფაქტორები:

1. ინფორმაცია მომართვისა და შეფასების შესახებ;
2. არასრულწლოვნის ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები;
3. ინფორმაცია არასრულწლოვნის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ;
4. არასრულწლოვნის ოჯახი და საცხოვრებელ პირობები;
5. სკოლა, სწავლა და მუშაობა;
6. სოციალური ურთიერთობები, თავისუფალი დრო და ინტერესები;
7. ქცევითი მიდრეკილებები და თვითკონტროლი/კონტროლი;
8. არასრულწლოვნის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობა;
9. დამცავი ფაქტორები;
10. დასკვნა და რეკომენდაცია.

აღნიშნულ თავებში წარმოდგენილი თითოეული სფეროსთვის არსებობს ძირითადი რისკ ფაქტორების ჩამონათვალი, (მაგ.: ოჯახის თავში: „ოჯახის წევრებს შორის კონტაქტის დეფიციტი“, „ჰყავს მარტოხელა მშობელი/მეურვე“ და სხვა) ხოლო მის გასწვრივ შემფასებელმა უნდა მიუთითოს რომელი წყაროდან მიიღო ინფორმაცია (არასრულწლოვანი, კანონიერი წარმომადგენელი და სხვა). თავის ბოლოს უნდა შეჯამდეს აღნიშნულ სფეროში არასრულწლოვნისთვის ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის რისკი და დამცავი ფაქტორები. თითოეული მტკიცებულებისთვის (რისკ ფაქტორისთვის) არსებობს სამი სავარაუდო პასუხი: „კი“, „არა“ და „გაურკვეველია“ და დამატებითი ველი, სადაც უნდა მოხდეს იმ წყაროს მითითება, რომელზე დაყრდობითაც სოციალურმა მუშაკმა მიიღო აღნიშნული ინფორმაცია. კითხვარში არის სივრცე ინფორმაციის დაზუსტებისა და გავრცობისთვის.

¹ Young S., *Literature Review Risk: Risk Assessment Tools for Children in Conflict With the Law*, Irish Youth Justice Service, May 2009.

ნაწილი 3.3 ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმები

ინსტრუმენტის შესაფასებლად განხორციელდა სოციალური მუშაკების შეფასებული შემთხვევების ანალიზი და სოციალური მუშაკების გამოკითხვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

აღწერითი და შესრულებასთან დაკავშირებული კითხვები:

- რა არის შეფასების ინსტრუმენტის მიზანი?
- როგორ ხორციელდება მისი შევსება?
- რა დრო და რესურსი სჭირდება მის გამოყენებას?
- არსებობს თუ არა კავშირი გაწეულ რეკომენდაციასა და შეთავაზებულ სერვისებს შორის;
- რა ტრენინგი/სუპერვიზიის საჭიროება არსებობს შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით და სხვა.

ნაწილი 3.4 ინსტრუმენტის ძლიერი მხარეები

ინსტრუმენტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ის ეფუძნება დიდ ბრიტანეთში ფართოდ გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტს ASSET-ს, რომელიც არის სტრუქტურირებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან კავშირში მყოფი ახალგაზრდების მიმართ.

პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ინსტრუმენტი იძლევა ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას, მათ შორის განსაკუთრებით პოზიტიურია ის ფაქტი, რომ მისი საშუალებით აქცენტი კეთდება არასრულწლოვნის კანონსაწინააღმდეგო ქცევის დამცავ ფაქტორებზე, სოციალურმა მუშაკმა ყველა სფეროსთვის, დანაშაულის განმსაზღვრელ ასპექტებთან ერთად, უნდა შეაფასოს არასრულწლოვნის ძლიერი მხარეები და დამატებით ინსტრუმენტში არსებობს ცალკე თავი „დამცავი ფაქტორები“, სადაც არასრულწლოვნის ინდივიდუალური, ოჯახური და საზოგადოებასთან დაკავშირებული დამცავი ფაქტორების ამსახველი მტკიცებულებებია მოცემული. ყოველივე ეს კი იძლევა დაბალანსებული ინფორმაციის მიღების საშუალებას და სთავაზობს გადაწყვეტილების მიმღებ და პროცესში მონაწილე პირებს არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ქცევის გამომწვევი მიზეზების ფართო სპექტრს, არამედ ამ პრობლემების დაძლევის შესაძლო საყრდენებს არასრულწლოვნის პიროვნებასა და მის გარემოცვაში.

ნაწილი 3.5 ინსტრუმენტის სუსტი მხარეები

აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით შეფასების წარმართვის ხარვეზები პირველ რიგში დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმძღვანელო პრინციპების დარეგულირება შესაბამისი ნორმატიული აქტით ვერ განხორციელდა. იმის გამო, რომ სოციალური მუშაკისთვის უცნობი დარჩა ზოგიერთი თავის განმარტება, საორიენტაციო შეკითხვები, სახეზეა განსხვავებულად

ინტერპრეტირებული ინფორმაცია და მისი მიღების სხვადასხვა გზა, რაც არაობიექტური და არათანმიმდევრული ანგარიშის წინაპირობაა.

მეორე საკითხი უკავშირდება თავად ინსტრუმენტის სპეციფიკას. უნდა აღინიშნოს, რომ კითხვარი წარმოადგენს სხვა ქვეყნებში გავრცელებული რისკებისა და საჭიროების შეფასების ფორმის მოდიფიკაციას. ის ასევე აერთიანებს პრობაციის სააგენტოში გამოყენებული ფორმის გაერთიანებულ ვერსიას.

ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და ფოკუს ჯგუფების პროცესში კი გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- პერსონალი თვლის, რომ ინსტრუმენტი არის დიდი მოცულობის და საჭიროებს ინსტრუმენტის შევსებისთვის სხვა ფორმებთან შედარებით მეტ დროს;
- დროის დიდი ნაწილი იხარჯება ტექნიკური დეტალების დამუშავებაზე, როგორცაა ყოველი საკითხის გასწვრივ ინფორმაციის წყაროს მითითება;
- ინსტრუმენტის სხვადასხვა თავებში მეორდება მსგავსი შინაარსის ინფორმაცია;
- პერსონალი ვერ ხედავს იმის საჭიროებას, რომ ყოველი შესაფასებელი სფეროს შემდეგ განახორციელოს მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ამ ნაწილების ხელახალი შეჯამება დასკვნით ნაწილში;
- სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ინსტრუმენტში არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ამსახველი ველები, როგორცაა ოჯახური ურთიერთობები და ღირებულებები, ასევე დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ინსტრუმენტში ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება საჭიროებს მეტ კვალიფიკაციას ვიდრე ეს სოციალური მუშაკის პროფესიით არის გათვალისწინებული.

ნაწილი 3.6 ხარვეზები ინსტრუმენტის საკითხების მიხედვით

- 1.6 პუნქტში აღნიშნულია, რომ შეფასების ფორმაში უნდა იქნეს მითითებული ის დოკუმენტაცია, რომლის გაცნობაც მოხდა შეფასების წარმოების პროცესში. დოკუმენტების ჩამონათვალის გარდა, მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული დოკუმენტაცია ახლდეს საქმეს და არსებობდეს მისი გაცნობის შესაძლებლობა. ამ ეტაპზე არასრულწლოვნის წინასასამართლო საქმე მხოლოდ შეფასების ფორმისგან შედგება, რომლის დაბეჭდვაც ხდება საჭიროების შემთხვევაში;
- საქმის გაცნობისას, არ არის ნათელი რომელ ეტაპზე ივსება ფორმა, საჭიროა პირველივე გვერდზე დაემატოს პუნქტი, რომელიც მინიშნებს რა სტადიაზე იმყოფება კონკრეტული შემთხვევა (ბრალდებულად ცნობა, წინასასამართლო მოსმენა და სხვა);

- შეჯამების ნაწილში 4.2 სოციალური მუშაკების მიერ დიდი ყურადღება ეთმობა საცხოვრებელი პირობების შეფასებას, რაც უკავშირდება საყოფაცხოვრებო პირობებისა და ოჯახის შესახებ ინფორმაციის ერთ თავში გაერთიანებას. საჭიროა გაიყოს ოჯახის თავი ორ ნაწილად და ოჯახის თავს დაემატოს არასრულწლოვნის სახლიდან გაქცევასა და გაგდებასთან დაკავშირებული საკითხები, მშობლების მხრიდან დასჯისა და წახალისების შემთხვევები და სხვა;
- ოჯახზე არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ იკითხება ოჯახზე მიძღვნილ თავში და შემდეგ ვკითხულობთ თავში 8, „ახლო წარსულში გადატანილი ძლიერი სტრესი“, „მშობლების განქორწინება“, „ემოციური ძალადობის მსხვერპლი“, „უგულვებელყოფის მსხვერპლი“ და სხვა, საჭიროა ოჯახის შესახებ ინფორმაცია სრულად იქნეს წარმოდგენილი აღნიშნულ თავში;
- შეფასების ფორმის სახელმძღვანელო პრინციპებში განისაზღვროს როლის და რა პერიოდის გასვლის შემდეგ არის კვლავ აქტუალური სკოლიდან მიღებული ინფორმაცია და როდის შეიძლება პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს არასრულწლოვნის ამჟამინდელი აკადემიური მოსწრების ასახვა ანგარიშში;
- პოზიტიური ფსიქო-ემოციური რესურსები (ჯანსაღი თვითშეფასება, ა.შ.) სოციალური მუშაკების მხრიდან განსხვავებული კომპეტენციის შემთხვევაში არაერთგვაროვნად ივსება, საჭიროა დამატებითი ინსტრუქციები და ტრენინგები;
- პუნქტი 9.5 - არასრულწლოვნისთვის საჭირო სერვისები/რესურსები რეციდივის პრევენციისთვის - საჭიროა მეტი კონკრეტული სერვისების არსებობის, ვადებისა და შინაარსის შესახებ. მაგალითად გაუგებარია სერვისის მონიშვნისას მიიღებს თუ არა აღნიშნულ დახმარებას, რომელ სექტორში (სამთავრობო, პენიტენციური დაწესებულებები, არასამთავრობო), რამდენი სენსი/გაკვეთილი სჭირდება და სხვა;
- შეინიშნება არაერთგვაროვანი დასკვნის სტრუქტურა, თანმიმდევრობა სხვადასხვა სოციალურ მუშაკთან. ზოგიერთი მიჰყვება შესაფასებელ თემებს, ზოგიც მხოლოდ რისკსა და დამცავ ფაქტორებზე ახდენს აქცენტირებას, აღნიშნული კი არაერთგვაროვნად აისახება სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე (მოსამართლეები/პროკურორები) და ინტერპრეტაციის საშუალებას აჩენს;
- დასკვნით ნაწილში საჭიროა დაემატოს გრაფა: არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კომენტარი, რადგან არ არის ინფორმაცია ეს უკანასკნელნი თანხმობას აცხადებენ თუ არა განხორციელებულ რეკომენდაციებზე, მზაობას აცხადებენ თუ არა ჩაერთონ შეთავაზებულ სერვისებში;
- საჭიროა ინსტრუმენტს ახლდეს რეკომენდაციის მონიტორინგის ფორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა პერიოდულობით (6 თვის შემდეგ)

გადაგვეხედა/გამოგვეთხოვა აღნიშნული შემთხვევა, განგვეხორციელებინა სერვისებში ჩართულობის მოკვლევა.

ნაწილი 3.7 დასკვნა

მაშასადამე, რისკისა და საჭიროების ინსტრუმენტების გამოყენება მართლმსაჯულების სისტემაში ემსახურება რეციდივის რისკის განსაზღვრას დაბალ, საშუალო და მაღალ რისკად. რისკის დონის განსაზღვრა, თავის მხრივ ემსახურება იმ ამოცანას, რომ დაბალი რისკის მქონე დამნაშავეები არ უნდა იყვნენ ინტენსიური მკურნალობის სუბიექტები. რისკის შეფასება მოსამართლეებს ეხმარება განსაზღვროს შესაბამისი, რისკს მორგებული სასჯელი, რაც პირველ რიგში დაბალი რისკის მქონე არასრულწლოვნებისთვის შესაბამისი მკურნალობის შეთავაზებაში უნდა გამოიხატებოდეს, სასჯელის ალტერნატიული სახეების გამოყენებაში, და სხვა, საშუალო და მაღალი რეციდივის რისკის შემთხვევაში ინტერვენცია უნდა განსხვავდებოდეს.

არსებულე პრაქტიკით კი ინსტრუმენტი იძლევა არასრულწლოვნისათვის რისკის და კრიმინოგენური საჭიროებების შესახებ საკმაოდ დატვირთულ ინფორმაციას, თუმცა ეს ინფორმაცია ვერ ახდენს რისკის დონის განსაზღვრას და მხოლოდ კლინიკური დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ამავე დროს არ იკვეთება კავშირი რისკის დონესა და რეკომენდაციას შორის რომელი კონკრეტული სერვისი შეამცირებდა რეციდივის დონეს ან დაბალი რისკის შემთხვევაში რა აღმოფხვრიდა კრიმინალიზაციის ხარისხს.

მნიშვნელოვანია, სამომავლოდ მივიღოთ ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც შედარებით მაღალ სანდოობას უზრუნველყოფს. სანდო ინსტრუმენტი იგივე გადაწყვეტილებას უნდა გვაძლევდეს ერთსა და იმავე დამნაშავესთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, ვინ იყენებს ინსტრუმენტს. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა სოციალური მუშაკები აფასებენ ერთსა და იმავე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, ისინი უნდა მივიღწენ მსგავს დასკვნამდე განმეორებითი დანაშაულის რისკის შესახებ.

სოციალური მუშაკების მიერ შესრულებული საქმეების ანალიზიდან და მათთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ნათლად ჩანს, რომ ინსტრუმენტში აღწერილი ზოგიერთი პუნქტი არაერთგვაროვნად არის აღქმული სხვადასხვა სპეციალისტის მიერ, მაგალითად: კითხვარის მესამე თავში არსებული პუნქტი: 3.4. დაბარალეულ(ებ)ი, მოსანიშნია პასუხის რამდენიმე ვარიანტი: არ იყო დაბარალეული, კონკრეტული გამიზნული მსხვერპლი, უცნობი/არაგამიზნული მსხვერპლი, განმეორებითი მსხვერპლი, მოწყვლადი მსხვერპლი (მცირეწლოვანი ბავშვი, ხანდაზმული, შშმპ), სადაც არსებობს უცნობი/არაგამიზნული მსხვერპლის აღქმის განსხვავებული ინტერპრეტაცია და სხვა. ასევე სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა შემთხვევა, სადაც სხვადასხვა სოციალური მუშაკის მიერ შეფასებული ერთი და იმავე არასრულწლოვნისთვის განსხვავებული დასკვნა და გეგმა იქნა შემუშავებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია (1) ინსტრუმენტის ყველა ასპექტი ივსებოდეს ერთგვარად, რაც ინსტრუმენტში კითხვების ბატარეის დამატებითა და თითოეული თავისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებით იქნება

მიღწეული და (2) პერსონალი, მათ შორის უფროსი სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ ზუსტად გადამზადებული ინსტრუმენტის შევსებისა და თანმიმდევრული სუპერვიზიის განხორციელების საკითხებში, სადაც ყველა სუპერვიზორი იხელმძღვანელებდა საერთო სტანდარტითა და პრინციპებით.

ნაწილი 3.8 ზოგიერთი საკითხი განსახილველად:

- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შეფასება ხორციელდება, თუმცა პროცესი არ იძლევა რაოდენობრივად დეტერმინირებული ხარისხის განსაზღვრას (დაბალი, საშუალო, მაღალი), რაც ძირითადად დამახასიათებელია ნარატიული შეფასებებისთვის, სადაც დასკვნა ყველგან ერთი და იმავე ინფორმაციის შეჯამებას ემსახურება, მაგალითად: „არასრულწლოვანი რეკომენდებულია ჩაერთოს ბრაზის მართვის ტრენინგში.“ ასეთი ინფორმაცია ძალიან ცოტას გვეუბნება დანაშაულის განმეორებით ჩადენის რეალურ რისკზე ან კონკრეტულ სფეროში საჭიროების დონეზე;
- მაშინაც კი, როდესაც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები სრულყოფილად არიან შეფასებულნი, დასკვნების აღსრულება (კონკრეტულ სერვისებში ჩართვა) ყოველთვის ვერ ხერხდება არასაკმარისი სერვისებიდან გამომდინარე და იმ მიზეზით, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების საშუალო დატვირთვიდან გამომდინარე, ერთდროულად უნდა იყვნენ შეფასებისა და ინტერვენციის განცხორციელებაზეც პასუხისმგებელნი. ამდენად რისკის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და დახვეწა არის ერთი საკითხი მთელ პროცესში. თუ არ ხდება სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება, მაშინ გაურკვეველია რისთვის ხორციელდება შეფასება;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალი თანამშრომლების მუდმივი გადამზადება ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტსა და სახელმძღვანელო პრონციპებში;
- თანამშრომლების მედეგობა არის მნიშვნელოვანი სირთულე დასაძლევად, დამახასიათებელი ფრაზებია: „ინსტრუმენტის გარეშეც შესაძლებელია რისკის დონის განსაზღვრა“, „მე არ მჭირდება ეს ინსტრუმენტი“ და სხვა. გუნდის რეზისტენტობა შესაძლოა იყოს გამოწვევა, თუმცა დაძლევადი;
- არ არსებობს ყველა სიტუაციისთვის შესაფერისი ერთი ინსტრუმენტი, ზოგიერთი თავი ან სამართალდარღვევის ტიპი სპეციალიზირებული შეფასების საჭიროებას აჩენს, როგორცაა სექსუალურ დანაშაულში ბრალდებულები ან ფსიქიკური დარღვევების მქონე ინდივიდები;
- სტატისტიკური შეფასება მეტად ზუსტია კლინიკურთან შედარებით, მაგრამ არც ერთი პროცესია იდეალური. ზოგჯერ დაბალი რისკის მქონე დამნაშავეები იმეორებენ დანაშაულს და ზოგჯერ მაღალი რისკის მქონე დამნაშავეები არიან წარმატებულები;
- შეფასება როგორც წესი არ არის ერთჯერადი ღონისძიება, დამნაშავის რისკისა და საჭიროების ფაქტორები იცვლება, ამიტომ შეფასება უნდა

განვიხილოთ განგრძობით პროცესად და საჭიროა პერიოდულად განვახორციელოთ ხელახალი შეფასება;

- შეფასება ეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მაგრამ ის (შეფასების ინსტრუმენტი) არ იღებს გადაწყვეტილებას, პროფესიული დისკრეცია არის კარგი შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი;
- მოხდეს პროცესისა და ინსტრუმენტის სტანდარტიზება რათა ყველა საუბრობდეს ერთ ენაზე რისკის შეფასების ტრილში;
- პრობაციის ბიუროს ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს ხარისხის კონტროლის გეგმა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება განხორციელებული შეფასებების აუდიტი, კვალიფიკაციის ამალღების კურსები ან შემფასებლების სერტიფიცირება;
- შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემთხვევის სუპერვიზიისა და ჩარევის გეგმის განვითარებისა და კანონდამრღვევების პროგრამებში გადანაწილების მიზნით;
- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდობის განსაზღვრა, კერძოდ პროგნოზირებადი ვალიდობის: ინსტრუმენტის უნარი წინასწარ განსაზღვროს ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ რომ განსაზღვრავს. პროგნოზირებადი ვალიდობა ჩვეულებრივ იზომება კორელაციით, ინსტრუმენტში არსებულ ქულასა და სხვა გარე საზომში, როგორცაა მაგალითად ახალი დანაშაული. რაც მეტია კორელაცია, მით მეტად ვალიდურია ინსტრუმენტი. რა თქმა უნდა არც ერთი ინსტრუმენტი არის 100% ზუსტი, საუკეთესო მოდელების მაგალითზეც, განმეორებითი დანაშაულის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ 70%-ი სიზუსტით;
- შეფასების ინსტრუმენტი საჭიროებს ვალიდურობის დადგენას იმ პოპულაციისთვის, რომლისთვისაც ის გამოიყენება, არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა შემოწმება ვალიდურობაზე განხორციელდა მრავალი მიმართულებით (ქალები, კაცები, განსხვავებული ეთნიკური და რასობრივი ჯგუფები), თუმცა უნდა მოხდეს შედეგების ანალიზი იმ პოპულაციაზე დაყრდნობით, რომლისთვისაც შედგა ინსტრუმენტი.

ნაწილი 3.9 რეკომენდაციები

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს

ა) ინსტრუმენტის შემდგომი დახვეწა:

- ქულათა მინიჭების სისტემის შემოღებას რისკის დონის დადგენის მიზნით;
- ანგარიშის დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც ინდივიდუალური შეფასების ფორმის საფუძველზე შედგება და სასამართლოს გაეგზავნება სრული ფორმის ნაცვლად;
- საბოლოო ანგარიშის ფორმის სტრუქტურისა და სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა;

- თითოეული თავისთვის დამატებითი კითხვების ბატარეის შექმნა;
- ინტერვენციის გეგმის მონიტორინგის ფორმის შექმნა.

ბ) სახელმძღვანელო პრინციპების ნორმატიულად დამტკიცება და მისი პრაქტიკაში დანერგვა;

გ) პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გაძლიერება:

- მოდიფიცირებული ინსტრუმენტის გამოყენებაში;
- რისკებისა და საჭიროებების ფაქტორების შესახებ ცოდნის გაღრმავება;
- სუპერვიზიის განხორციელების ტექნიკებით აღჭურვა, ინტერვიუების მე-
თოდის სწავლება/დანერგვა.

**დ) სუპერვიზიისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა და ინტერ-
ვიზიის სისტემის შემუშავება.**

RESEARCH TOPIC:

**“PREPARATION OF INDIVIDUAL ASSESSMENT REPORTS
ON JUVENILES AT PRE-SENTENCING STAGE”**

Authors: Natalia Tsagareli
Marika Natadze
Anton Kelbakiani

The research has been carried out by International Organization “Penal Reform International” in cooperation with the National Probation Agency of Georgia and with financial support from the Embassy of the Kingdom of the Netherlands in Georgia

**Tbilisi
2017**

This publication may be freely reviewed, abstracted, reproduced and translated, in part or in whole, but not for sale or for use in conjunction with commercial purposes. Any changes to the text of this publication must be approved by Penal Reform International.

This publication was produced with the financial assistance of the Embassy of the Kingdom of Netherlands in the framework of the project „Strengthening Pre-sentence reporting Schemes for Children in Conflict with the Law and Enhancing Informed Decision-making Process in the Criminal Justice System of Georgia“. The contents of this document are the sole responsibility of Penal Reform International and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the Kingdom of Netherlands.

Penal Reform International

Head Office

1 Ardleigh Road London N1 4HS

United Kingdom

+44 (0) 207 923 0946

Email: publications@penalreform.org

Twitter: @PenalReformInt

www.penalreform.org

Penal Reform International

South Caucasus Regional Office

25 Kazbegi avenue (M2),

3rd entrance, 2nd floor, apt.262

Tbilisi 0160 Georgia

(+995 32) 237 02 70

Email: tchanturia@penalreform.org

www.penalreform.org

CONTENTS

About the Research	47
Research Methodology.....	48

Part I

Part 1.1 Timelines for Preparing Individual Assessment Report	50
Part 1.2 Involvement of a Psychologist in the Preparation Process of Individual Assessment Report	51
Part 1.3 Personal Data Protection	52
